

140  
1961

საბავშვო  
გაზეთი



პიონერი 4  
1961



# ტყის ქლე

გაზაფხულის სუნია და  
ბელტისა და ბალახის...  
ქალაქგარეთ გასულია  
მთელი დედაქალაქი.

ჩამდგარია წყალი ხეში,  
დედამიწა გამთზარა,  
დიდ-პატარა ნერგით ხელში  
მანქანაზე დამდგარა.

მოქალაქე არ მბასუბობს,  
პიონერებს ვკითხუე:  
რა დღე არის, დღეს ასეთი?  
—რა დღეა და—ტყის დღე!..

—გამარკვიეთ, პატარებო,  
კარგად გამაგებინეთ,  
თუ აგრეა, ერთი ნერგი  
მოხუცს დამარგვეინეთ...

იცინიან ყმაწვილები,  
დაწერილებით მიხსნიან,  
შუბებივით აწვდილები,  
ხელთ ნერგები გვიპყრია.

ჩამდგარია წყალი ხეში,  
დედამიწა გამთზარა.  
დიდ-პატარა ნერგით ხელში,  
მანქანაზე დამდგარა.

გაზაფხულის სუნია და  
ბელტისა და ბალახის...  
ქალაქგარეთ გასულია  
მთელი დედაქალაქი!


**მუკან ლუბანიძე**

„გაზაფხულა“ —ნახატი  
ვ. ჯაფარიძისა

გარეკანის პირველ გვერდზე:  
„ტყის დღე“ —ნახატი  
დ. ნოდიასი







# ბოჰკაუი ნაძვარ ტუტე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

პ. მაკაშვილი

**ტ**ივი, თოვლიანი ზამთარი დადგა. ვლადიმერ ილიჩი ავადა და უკვე რამდენიმე თვეა ცხოვრობს ძველებურ სვეტებიან სახლში, რომელიც მოსკოვთან ახლოს, დიდი პარკის სიღრმეში დგას.

სიწყნარეა. ჩუმად მოძრაობენ ადამიანები ოთახში. ცდილობენ არ შეაწუხონ ავადმყოფი.

ვლადიმერ ილიჩმა სძლია ტკივილს და ადგა საწოლიდან. მარცხენა ხელის ფათურით მოძებნა ჯოხი, რომელიც საწოლის თავთან იყო მიყუდებული, და ნელა მივიდა თავის პატარა, კუთხის ოთახის ფანჯარასთან, რომელიც მეორე სართულიდან პარკს გადაჰყურებდა.

— ვალოდია, რატომ ადევნი? — ჰკითხა ოთახში შემოსვლისას, შეწუხებულმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა. ვლადიმერ ილიჩს პასუხი არ გაუცია: ლაპარაკი უჭირდა. მან მხოლოდ სახე შეიქმუხნა, თითქოს სურდა ეთქვა:

„მომბეზრდა უსაქმოდ წოლა“.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, როგორც ჩანს, ასეც გაუგო. მისწია მისკენ რბილი სავარძელი და უთხრა:

— კარგი, კარგი, ვალოდია, იყავი ფანჯარასთან, ოღონდ დაჯექი, გესმის, უსათუოდ დაჯექი, არ შეიძლება შენი დიდხანს ფეხზე დგომა. გავნებს.

ვლადიმერ ილიჩი ოდნავ განზე გადგა, რომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ზედ ფანჯარასთან მიეწია სავარძელი, მაგრამ მაინც არ დაჯდა და აწიშნა:

\* იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

„ნუ სწუხხარ, გეთაყვა, ფეხზე დგომა მირჩევნია, როცა დავიღლები, დავჯდები“.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ოთახიდან გავიდა, ვლადიმერ ილიჩი მარტო დარჩა.

ვინ იცის, მერამდენედ უყურებდა ვლადიმერ ილიჩი საწოლი ოთახის ფანჯრიდან გადაშლილ ამ პეიზაჟს და უთუოდ მის ყოველ წვრილმანს იცნობდა.

ახლა კი ირგვლევ ყველაფერი თეთრად გადაბენტილა. არც ხიდი ჩანს ნაკადულზე და არც სკამია, რომელზედაც ვლადიმერ ილიჩი ხშირად ჩამოჯდებოდა ხოლმე. ყველაფერი თოვლს დაუფარავს.

გუბებს იქეთ მალღობი იწყება. მის ფერდობზე სოფელ გორკას გლეხების მიწვრები და ბაღებია. მოშორებით კი თვით სოფელი ჩანს, ხის სახლებით გაშენებული.

ვლადიმერ ილიჩი ჩაფიქრდა, მისი გამხდარი სახე შეწუხებული გამოიყურება. რაზე ფიქრობს?

იქნებ ნანობს, რომ ნადირობის მოყვარულს არ უწყურია სანადიროდ წასვლა ტყეში და, რომ საწოლზე მიკრულს ოთახშიც კი არ შეუძლია უყავარჯნოდ სიარული?

ან იქნებ უყურებს სოფელ გორკას და აგონდება თავის ნაცნობი გლეხები, რომლებთანაც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა მოხსენებით, დაეხმარა მათ სოფელს ელექტროქსელის გაყვანაში. გლეხები ჩიოდნენ, მიწის დასამუშავებლად მანქანები არა გვაქვსო. სოფელში საჭიროა ბევრი მანქანის გაგზავნა, მაგრამ ქვეყანას ჯერ კიდევ ცოტა გააჩნია.

ოთახში ისევ შემოვიდა შეწუხებული ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელმწიფო წიგნების ორგანიზაციის რეპუბლიკური სახეობის მოვალეობიანი საბავშვო უწყისი

რედაქტორი რევაზ მარჯანიანი  
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი),  
მარიჯანი, რ. ქორჭია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი  
(სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის წელი  
XXXV

პიონერი 4  
1961

8454





— ვალოდია, გთხოვ, წამოწევი! — ემუდარებოდა იგი. ვლადიმერ ილიჩი საწოლთან მივიდა. საწოლის გვერდით მაგიდაზე წიგნების დასტა ელაგა.

ექიმებმა კითხვა აუკრძალეს, მაგრამ ნუთუ შეიძლება იცხოვროს უწიგნოდ ადამიანმა, რომელმაც სიცოცხლის ნახევარი კითხვაში გაატარა? ვლადიმერ ილიჩი ექიმების მოთხოვნას დაემორჩილა: თვითონ არ კითხულობდა, მაგრამ გაჭირვებიდან გამოსავალი იპოვა — სულ უფრო და უფრო ხშირად თხოვდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, მისთვის წაეკითხა ხმამაღლა. იგი უკითხავდა მას სალტიკოვ-შჩედრინის, გორკისა და ჯეკ ლონდონის ნაწარმოებებს. უყვარდა აგრეთვე დემიან ბედნის ლექსების მოსმენა.

...დრო მიდიოდა გულის გამწყალებული ზოზინით ზამთრის მოკლე დღე განუზომლად დიდი ჩანდა, ღამე კი — დაუსრულებელი.

ასეთი იყო 1924 წლის — ახალი წლის ღამე.

ვლადიმერ ილიჩი მთელი დღე საწოლიდან არ ამდგარა. საღამოს დიდხანს იწვა და ფანჯარაში ცაზე მოკიფე ვარსკვლავებს გასცქეროდა. უძილობა სტანჯავდა. გვერდით, მეზობელ ოთახში, თვალმოუხუტავად ისინდნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და ლენინის და — მარიამ ილიას ასული. ისინი ერთმანეთს მოგონებებს უზიარებდნენ.

— მეგონი, ჩვენ ასე არასოდეს არ შეგხვედრივართ ახალ წელს, როგორც ახლა! — ამოიხვნეშა მარია ილიას ასულმა.

მათ გაახსენდათ 1918 წლის საახალწლო შეხვედრა. მძიმე დრო იყო. პეტროგრადის ბნელ შესახვევებში ჯერ კიდევ გაისმოდა პატრულების თოფების მოულოდნელი გასროლის ხმა. ისინი შეთქმულ თეთრგვარდიელებს ბანდიტებსა და სპეკულანტებს იჭერდნენ. სახლებში შიმშილსა და სიციფეს დაესადგურებინა. ხოლო იუნკერთა სასწავლებლის დიდ დარბაზში უკრავდა ორკესტრი. იქ ვიბორგის მხარის მუშები შეკრებილან, პირველ საბჭოთა ახალ წელს ხვდებიან. ზღვა ხალხია. მუშების მიწვევით ვლადიმერ ილიჩი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იქ წავიდნენ. მათ დათოვლილი პალატების დაბერტყევა ვერ მოასწრეს, რომ მუშები მისალმების შეძახილებით შეხვდნენ და მაშინვე სააქტო დარბაზში გაატარეს. ლენინმა ახალი წელი მიულოცა შეკრებილთ და დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა: მას დაგვიანება არ უყვარდა. თავის პატარა სიტყვაში ვლადიმერ ილიჩმა თქვა:

— აი, უკვე ნახევარი საათია, რაც ვცხოვრობთ ახალ წელში. ეს წელი უთუოდ იქნება ძალიან ძნელი და მრისხანე. ჩვენ ეს წინასწარ შეგვიძლია გავითვალისწინოთ მტრების მხრიდან გაცოფებული თავდასხმებით. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ვერავინ ვერ შესძლებს ჩაახშოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა იარაღისა თუ შიმშილის ძალით! მომავალი ჩვენია. ამის თავდება დიდი, დაუმრეტელი ძალა, რომელსაც წარმოადგენს თვით რუსეთის პროლეტარიატი და, უპირველეს ყოვლისა, თქვენ — პიტერის პროლეტარიატი.

ლენინის გამოსვლის შემდეგ გაიმართა ცეკვები. მელილაც ქალიშვილი მივიდა ლენინთან:

— ვლადიმერ ილიჩ, წამოდით, ვიცეკვოთ!

ლენინს გაეცინა, არწმუნებდა, რომ ცეკვა არ იცოდა. ქალიშვილმა კი მკლაფში ხელი გაუყარა და არ ეშვებოდა.

გამბედავი ქალიშვილი იყო, ყოჩაღად იქცეოდა, მაგრამ არც ლენინი დაბნეულა. მან ქალიშვილს ხელი გაუწოდა, ჩამოატარა მთელი დარბაზი, მივიდა ცეკვის ხელმძღვანელთან და სთხოვა:

— დამიხსენით, გეთაყვა, გასაჭირიდან, ამ ქალიშვილს ვალსის ერთ ჩამოვლაზე პარტნიორი სჭირდება.

სახეგალიმებულმა მარია ილიას ასულმა, ერთბაშად ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს უთხრა:

— რა იქნება, რომ მოვაწყოთ საახალწლო ნადვის ხე და მოვიწვიოთ ბავშვები? ვალოდიას ხომ ბავშვები უყვარს.

— რას ამბობ, საყვარელო! ეს ხომ გადაღლის ვალოდიას.

— მაინც ვცადოთ, ა?..

საახალწლო ნადვის ხის მოწყობა მაშინვე არ მოხერხდა. ვლადიმერ ილიჩის ჯანმრთელობა რამდენიმე დღეს არ გაუმჯობესებულა, თეთრმა სახლმა გორკაში სტუმრების მიღება 7 იანვარს შესძლო.

ტყიდან მოიტანეს დიდი, მშვენიერი ნადვის ხე და დადგეს „ზამთრის ბაღში“. ასე ეძახდნენ პირველ სართულზე ფართო დარბაზს, სადაც ხის ყუთებში პალმები, დაფნები, ოლენდრები და სხვა მარადმწვანე მცენარეები ხარობდნენ. სითბოში ნადვს გამლღვალი ტოტები გაეშალა და დარბაზი წიწვის ფისის სურნელებით გაევსო.

ნადვს ტოტებზე ჩამოჰკიდეს ვაშლები, მოოქროვილი თხილი, ჭრელი ქალაღის ჯაჭვები, სათამაშოები; დამაგრეს ცვილის პატარა სანთლები და ფერადი ელექტრონათურების გირლიანდი.

როცა აქ, ფართო დარბაზში ნადვის ხეს რთავდნენ, სწორედ ამ დროს იქ, საბჭოთა მეურნეობის დაბასა და სოფელ გორკას მრავალ სახლში, სოფლის გოგო-ბიჭები ფაციფუციტ ემზადებოდნენ, რომ პაპა ლენინს სტუმრებოდნენ.

ისინი იბანდნენ, ივარცხნიდნენ და იცვამდნენ. ბიჭებმაც კი მოძებნეს სავარცხლები და ცდილობდნენ ურჩი ქოჩრები კოხტად დაეყენებინათ. ზოგს გაცვეთილ თექის ჩექმებს უკერებდნენ. ჭირდა მაშინ ტანსაცმლის შოვნა.

საღამო ხანს ლენინის ყველა სტუმარს ერთად მიიქროლებდა მარხილები. ხანმოკლე მგზავრობის შემდეგ მარხილები პარკთან გაჩერდნენ.

ბავშვები შევიდნენ დიდ სახლში. თვალები ეხუჭებოდათ ელექტრონის მოკაშკაშე სინათლეზე. გაუბედავად შეჯგუფდნენ შესასვლელთან და აღმაცერად შესცქეროდნენ მორთულ ნადვის ხეს.

სტუმრების შესახვედრად გამოვიდნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, მარია ილიას ასული და მათი ნათე-



სავე—შვიდი წლის ვიქტორი. ისინი ბავშვებს გახდაში ეხმარებოდნენ და თან ალერსით ეკითხებოდნენ:

— როგორ იმეზავრეთ? ხომ არ შეგცივდათ? რა გქვიათ?

სიმარჯვეში ყველას აჯობა პატარა სტუმარმა—ვასია სოკოლოვმა. იგი მკვირცხლად პასუხობდა ყველა შეკითხვაზე. როცა ვიქტორს გაეცნო, ვასიამ ჰკითხა:

— სად არის ლენინი?

— ვლადიმერ ილიჩი მალე მოვა.

— ავად აღარ არის?

— ახლა უკეთაა...

ბავშვები გაშინაურდნენ. მარია ილიას ასული რომაღს მიუჯდა. დარბაზში მხიარული მელოდიები გაისმა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კი ბავშვებთან ნაძვის გარშემო ფერხული ჩამოუარა.

როცა დარბაზში სინათლე ჩაქრა და ფერადი ელნათურები აანთეს, ბავშვებმა სიხარულისაგან ტაში შემოჰკრეს. აღტაცებულნი თვალს ვერ ამორებდნენ ჯადოსნურ, ზღაპრულ სურათს. ბავშვებმა წრე შეჰკრეს და ნაძვის ხეს გარს უვლიდნენ.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ბავშვებს ჰკითხა, რა საბავშვო სიმღერა იცითო. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და გაჩუმდნენ. მაშინ მარია ილიას ასულმა დაუკრა „ინტერნაციონალი“. მასპინძლები გაოცდნენ, როცა ბავშვები ერთხმად ამღერდნენ—ზეპირად იცოდნენ ჰიმნის სიტყვები.


ამ დროს დარბაზში შემოვიდა ვლადიმერ ილიჩი. გამხიარულებული მომღერალი ბავშვების დანახვამ სახე ღიმილით გაუნათა. ბავშვებმა სიმღერა შეწყვიტეს და ლენინს მისცვიდნენ:

— პაპა ლენინი, პაპა ლენინი მოვიდა!

ბავშვები შემოეხვივნენ ვლადიმერ ილიჩს და დარცხვენილნი მიჩუმდნენ, არ იცოდნენ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ, მით უფრო, რომ მშობლების დარიგება ახსოვდათ: არ ეხუმრათ, და არ დაეიწყებოდათ, რომ პაპა ლენინი ავადა.

უხერხული ღუმილი თვითონ ვლადიმერ ილიჩმა დაარღვია, დას ანიშნა, დაეკრა. გაისმა საცეკვაო ჰანგები. მაგრამ ბავშვებს არ უნდოდათ ლენინის მარტო დატოვება. ვასია სოკოლოვმა ჰკითხა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს:

— რატომ არ დადის ლენინი?



— ცოტა კიდევ ტკივა ფეხები. მოდი, ფერხული განვაგრძოთ, ვიმღეროთ რაიმე, პაპა ლენინიც აგვეყვება ალბათ.

ვლადიმერ ილიჩმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. ბავშვებს გაეხარდათ. ნაძვის ხის გარშემო წრე შეჰკრეს, მოემზადნენ სასიმღეროდ და თან ლენინს თვალს არ აცილებდნენ.

საზეიმოდ გაისმა სიმღერის—„ჩვენ მჭედლები ვართ“ შესავალი აკორდი. ბავშვებმა კარგად იცოდნენ რევოლუციური სიმღერები. გუნდი მღეროდა ერთხმად, შეწყობილად. ვლადიმერ ილიჩი კი სიმღერის ტაქტზე თავს არხევდა.

— ვინ იცის ლექსები?—ჰკითხა ბავშვებს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, როცა სიმღერა მიწყდა.

ლექსები, რა თქმა უნდა ყველამ იცოდა, ბავშვებმა საგანგებოდ ისწავლეს ნაძვის ხის ზემოზე სათქმელად, მაგრამ პირველად თქმა რცხვენოდათ.

— ვასიამ დაიწყოს!—გაისმა ხმები.

ვასია სოკოლოვი კი ისეთი ბავშვი როდი იყო, რომელსაც ხეწუნა სჭირდებოდა. ახლოს მივიდა ვლადიმერ ილიჩთან, ასწია თავი მაღლა და მაღალი ხმით დაიწყო.

ვასიას ყველამ ტაში დაუკრა, ვლადიმერ ილიჩმა დაუძახა და ალერსით მარცხენა ხელი მოხვია. ლენინის ალერსით წახალისებულმა ვასიამ ახლა სხვა ლექსის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს გაისმა ბავშვების ხმა:

— მე ვიტყვი!

— მეც მინდა პაპა ლენინს ვუთხრა ლექსი,—თქვა გამხდარმა, ნაწნავებიანმა გოგონამ.





— კარგით. მოიცათ, ნუ ჩქარობთ. ყველანი იტყვიან,—დაამშვიდა ისინი მარია ილიას ასულმა.

ბავშვები რიგრიგობით მიდიოდნენ ლენინთან და უკითხავდნენ ლექსებს. გამოვიდა ყველა ნორჩი სტუმარი.

შემდეგ თითოეულმა მათგანმა მიიღო საახალწლო საჩუქარი. ვლადიმერ ილიჩი თვითონ იღებდა კალათიდან შესვვეულ ტკბილეულსა და ხილს. მარიამ ილიას ასული სათამაშოებს ხსნიდა ნაძვის ხიდან და ურიგებდა ბავშვებს. ხოლო ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სტუმრებს წიგნებით ასაჩუქრებდა.

სიხარულისა და მხიარულებისაგან ბავშვები ისე გაცეკვდნენ, ახმაურდნენ, რომ ლენინის ავადმყოფობა დაავწყდათ. ისინი თამაშობდნენ, კისკისებდნენ და ხმა-მალლა გაჰკიოდნენ. მარია ილიას ასული შეეფოთდა, ხმაურს ძმა არ გადაეღალა. იგი შეეცადა ბავშვები დაეწყინარებინა და გაიფიქრა: დროა ზემი დავამთავროთო.

მაგრამ აქ ჩაერია ვლადიმერ ილიჩი. მან სთხოვა დას, არ შეეზღუდა ბავშვები, რადგან ისინი ოდნავადაც არ აწუხებდნენ მას, და ეცლიათ ბავშვებისათვის გული ეჯი-რათ ზემით.

მარიამ ილიას ასულმა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ერთმანეთს გადახედეს—ისინი მიხვდნენ, რომ ახლა არ შეიძლებოდა ვლადიმერ ილიჩისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ საჭირო იყო, როგორმე დაეწყინარებინათ ახმაურებული სტუმრები. ამიტომ გადაწყვიტეს ბავშვებისათვის ეჩვენებინათ კინოსურათი, რომელიც ზემის პროგრამაში შედიოდა.

შუა დარბაზში დადგეს სკამები, ჩააქრეს სინათლე და კედელზე მიკრულ, ერთმანეთს გადაკიდებულ ორ ზეწარზე, გამოჩნდნენ მუნჯი კინოკადრები.

ბევრმა ბავშვმა ეს „სასწაული“ პირველად ნახა.

დარბაზში ხმაური წამსვე შეწყდა, მხოლოდ კინოკადრების ტკაცუნის ისმოდა.

ბავშვები მხურვალედ თანაუგრძობდნენ ფილმის გმირებს. წუხდნენ, როცა მათი სიციცხლე ბეწვზე ეკიდა.

მაგრამ „წითელი ეშმაკუნები“ შეუპყრობელნი და უვნებელნი იყვნენ. მათ მიზნად დაისახეს შეეპყროთ ცნობილი ბანდიტი ბატკო მახნო. დიდი დევნისა და საოცარი თავგადასავლის შემდეგ, მათ მოახერხეს მახნოს ტომარაში ჩასმა და მისი მეთაურთან მიყვანა...

ნორჩი მაყურებლები აღტაცებული არიან. ისინი სიცილისაგან იჭაჭებიან.

ვლადიმერ ილიჩი ბავშვების გულწრფელ კისკისზე თვითონაც გულიანად იცინის.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, მარიამ ილიას ასული და ექიმები უყურებდნენ ლენინს და გაოცებული იყვნენ: აი, თურმე, ის ყოვლისშემძლე და სასწაულმოქმედი წამალი!

უკანასკნელ დღეებში, როგორ არ ეცადნენ ექიმები, მხნეობა და ძალა შეემატებინათ ვლადიმერ ილიჩისათვის, მაგრამ არაერთარმა საშუალებამ არ გასჭრა. აი, მოვიდნენ ბავშვები, რომლებთანაც ლენინმა ერთი საღამო გაატარა და მის სახეს ღიმილი არ ცილდება.

ბავშვებს, რა თქმა უნდა, ეს არ ესმოდათ: უბრალოდ ლენინთან ყოფნა უხაროდათ, მასთან კარგად გრძობდნენ თავს. და რასაკვირველია, ალერსით მომღიმარ პაპა ლენინთან გამოთხოვებისას არც ერთ მათგანს არ უფიქრია, რომ ისინი უკანასკნელად ხედავდნენ მას.

ორი კვირის შემდეგ, 1924 წლის 21 იანვარს, საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი გარდაიცვალა.

თარგმნა შ. ლოლობერიძემ



## ქიზნერული სიმღერა


### ქ. გოგიაშვილი

მოვდივართ მწყობრად და სიმღერით,  
მოვდივართ მხარგადაშლილები,  
ლენინის საქმისთვის მებრძოლნი,  
ლენინის ერთგული შვილები.  
სწავლაში, გარჯაში მამაცებს  
თან მოგვაქვს ორწლედის ბარაქა,  
თუ არ ეხმარები სამშობლოს  
ისე შენ პიონერი არა ხარ!  
ვიმღეროთ ხმატკბილად, ამაყად,  
ალისფერ ყელსახვევს ვატარებთ,

შრომაში მივბაძავთ უფროსებს,  
ზრუნვას არ მოვაკლებთ პატარებს.  
მზის შუქი, ტყის სიო გვაკაჟებს,  
ჯანს გვმატებს მღინარე ხალისით,  
მოვყვებით გულწმინდა გაზაფხულს  
ვით ყვავილები და მაისი.  
მოვდივართ მწყობრად და სიმღერით  
მოვდივართ მხარგადაშლილები,  
პარტიის საქმისთვის ერთგულნი,  
ღიადი ლენინის შვილები.



5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის  
დღეა, ხოლო 7 მაისი—რადიოს  
დღე. ამასთან დაკავშირებით,  
პიონერის კლუბის მორიგ შეკ-  
რებაზე ჩვენ მოვიწვიეთ გაზეთ  
„ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი  
ი. ცერცვაძე, საქართველოს რა-  
დიოს საბავშვო გადაცემათა უფ-  
როსი რედაქტორი რ. ჩაჩანიძე  
და საქართველოს ტელესტუდიის  
საბავშვო გადაცემათა უფროსი  
რედაქტორი ა. გაჩეჩილაძე. აი,  
რა გვიამბებს მათ.



◀ ხარედაქციოდ გამზადებული მა-  
სალა პირველად სალინოტიპო  
საამქროში ხვდება ასაწყობად.

▶ „ნორჩი ლენინელის“ რედაქცია  
იხილავს გაზეთის მორიგი ნომრის  
მასალებს.

# სამიწ ბათის თავბუღასკული

„ჯადოსნური“  
ოთახი  
ჩვენს რედაქცია-  
ში არის ერთი „ჯა-  
დოსნური“ ოთახი.  
ამ ოთახში მუდამ სიწყნარეა. იქ  
არაფინ ზის, არაფინ მუშაობს. იატა-  
კიდან ჭერამდე აღმართულია თაროე-  
ბი. თაროებზე შეკრული საქალაღდე-  
ები აწყვია. ამ ოთახში შეგიძლია გაი-

გო საქართველოს ყველა სკოლის  
პიონერთა ამბები. შეხვალ და იტყვი:  
„ქობულეთელ პიონერთა ცხოვრების  
ამბავი მინდა გავიგო“. მაშინვე გა-  
იშლება ერთ-ერთი საქალაღდე, გაი-  
შრიალებენ ფურცლები, თავს წამოჰ-  
ყოფს ბარათი და სულმოუთქმელად  
გიაშობს ქობულეთელ პიონერთა  
ცხოვრების ამბავს.  
საიდან იციან ამ ქალაღდებმა ყვე-

ლა ამბავი? ამ გამოკეტილ ოთახში  
ვის მოაქვს მათთვის ახალ-ახალი  
ცნობები?  
გამოკეტილი ერთი შეხედვით მო-  
გეჩვენება ეს ოთახი, თორემ დღე რო-  
გორ გავა ისე, რომ ერთი ათჯერ  
მაინც არ შემოჰყონ თავი ამ ოთახის  
პატრონებმა—წერილების განყოფი-  
ლების მუშაკებმა. შემოვლენ, რამდე-  
ნიმე ათეულ წერილს შემოიტანენ და  
საქალაღდეებში გაანაწილებენ. საი-  
დან არ მოსულან ეს ცისფერი, ვარ-  
დისფერი და თეთრი პატარა ბარა-  
თები! მთიდან და ბარიდან, სოფლი-  
დან და ქალაქიდან, სკოლიდან და







ბის ამბები. აი, ასე გავჩნდი ქვეყანა-ზე. მერე ცისფერ კონვერტში ჩამდეს და თბილისისკენ მიკრეს თავი.

**ამ პოლიწოდან** რედაქციაში გავგვინაწილეს. მე ერთ ახალ-გაზრდა ქალთან მოვხვდი. ეტყობო-

რედაქციის თანამშრომელი ნ. გამყრელიძე თვალს ადევნებს გაზეთის დაკაბადონებას.

ინტერნატიდან, ბანაკიდან და შინიდან! ვინ არ არიან მათი ავტორები? პიონერები და ოქტომბრელები. ახლა მათი შინაარსი არ გაინტერესებთ? ყველა ამ ბარათს თავისი თავგადასავალი, თავისი ბიოგრაფია აქვს. მოდით, ზოგიერთის თავგადასავალი მოვისმინოთ.

**რომორ გავჩნდი პიონერებში**

მე კახეთში დავიბადე, საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალაში. ჩვენი სოფლიდან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ციხე-სიმაგრე „უჯარმა“. სართიჭალელმა პიონერებმა გადაწყვიტეს ლაშქრობა მოეწყოთ ამ ციხე-სიმაგრეზე. ჯერ კარგად მოემზადნენ და ერთ მზიან დღეს გზას გაუდგნენ.

ბავშვები ძალიან მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ათასგვარ საინტერესო და სასაცილო ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

შუადღისას პიონერებმა მაღალ კლდეზე ქონგურებჩამონგრეულ კოშკს მოჰკრეს თვალი.

აი, ესეც უჯარმის ციხე-ქალაქის ნაშთი! მასწავლებელი საინტერესო ამბებს მოუყვა მოლაშქრეებს საქართველოს ისტორიიდან.

ასეთი ლეგენდაც არსებობს: თურ-მე სიტყვა „უჯარმა“ დაკავშირებული ყოფილა სიტყვასთან „ჯარიმა“, რაც ხარკს ნიშნავდა. მტრის მიერ შევიწროებულმა ქართველებმა ააგეს თურ-მე ეს ციხე-სიმაგრე და შიგ დასახლდნენ, რომ მტრისათვის ხარკი არ ეხადათ და „უჯარიმონი“ გამხდარიყვნენ.

სალამოს, როცა პიონერები შინ დაბრუნდნენ, გადაწყვიტეს გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქცია-სათვის მიეწერათ თავიანთი ლაშქრო-

და, ძალიან მოვეწონე და ძალიან მიხაროდა. ზოგი ადგილი გაასწორა, მერე მხატვარმა ილუსტრაცია დახატა და სტამბაში გავგვზავნეს. მე ჯერ საამწყობო საამქროში მოვხვდი, ნახატი კი თვალიდან დამეკარგა, ვერ დავინახე, სად წაიღეს.

უზარმაზარ დარბაზში მთელ სიგრძეზე ჩამწყრივებული არიან საამწყობო მანქანები—ლინოტიპები. ყოველ ლინოტიპს კაცი უზის, ხომ გინახავთ დაწესებულებაში ხელით საბეჭდი მანქანა? აი, სწორედ ისეთი კლავიშები აქვს ლინოტიპს. ამწყობი ასეთივე წესით ურტყამს თითებს ასოებს, მანქანა კი აწყობს და სტრიქონებს ლინოტიპისაგან ასხამს.

მეც ასე ამაწყვეს. მერე გაზეთის დაკაბადონება დაიწყო. რედაქციაში წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით აწყობილი წერილები გვერდებში გავგვანაწილეს. მე მესამე გვერდზე მოვხვდი, ჩემს გვერდით რალაც ლინოტიპის ფირფიტა მოათავსეს, ნეტა ეს რალაა-მეთქი,—ჩავიბურტყუნე.

—ვერ მიკანი?—მკითხა ფირფიტამ,—მე შენი ილუსტრაცია ვარ. გამიკვირდა.—როგორ გადაიქეცი თუთიის ფირფიტად?—გკითხე ჩემს მეზობელს. მან აი, რა მიაშბო:

სწრაფმბეჭდავი სა-რატაციო მანქანა ზუთიოდე საათში ბეჭდავს 115 000 ეგ-ზემლარს.

შენ რომ დაგზოვდი, ცინკოგრაფი-ფიაში მოვხვდი. იქ ჩემი უფლებსუ-რათი გადაიღეს. ნეგატივიდან კი თუ-თიის სპეციალურ ფირფიტაზე გადა-იტანეს ჩემი გამოსახულება, ისევე, როგორც ნეგატივიდან ფოტოქალა-ღზე გადააქვთ ხოლმე. მერე რამდენ-ჯერმე ჩამდეს რალაც წამლებში. წამლებმა ცარიელი ადგილები ამო-წვა, ამოჭამა, გამოსახულება კი დარ-ჩა, და კლიშე მიწოდეს.

115.000  
**სალი—5**  
**საათში**

შეკრული გვერდი სტრიქონებისაგან, აწყობილი სათაუ-რებისაგან და კლი-შეებისაგან შედგება.

მაგრამ დასაბეჭდად ჯერ მზად არა ვართ. აწყობის დროს დაშვებული შეცდომები გაასწორეს, მერე მუყაო დაგვაფარეს და წნეხის ქვეშ მოგვა-თავსეს. წნეხში ჩვენი ანაბეჭდი მუ-ყაოზე გადავიდა. რკალად მოხრილი მუყაო რალაც მანქანაში ჩადეს, ზედ გალლობილი ლითონი დაახსეს, და ერთ მთლიან მუცელგამობერილ ლი-თონად ვიქეცი. შემდეგ საბეჭდ-სა-როტაციო მანქანაზე მოგვათავსეს, და ღერძის გარშემო დავტრიალ-დით. ერთი მხრიდან საღებავი გვე-ცხებოდა, მეორე მხარეს ქალაღი გადიოდა და გაზეთი იბეჭდებოდა. ეს ისე სწრაფად ხდებოდა, რომ თვალს ვერ შეასწრებდით. 115 ათასი ცალი „ნორჩი ლენინელი“ 5 საათში მზად იყო.

ასე გავჩნდი გაზეთში.

**თითრი გარამის ნაამოვები**

სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს, მო-კლე ჩემი ბიოგრა-ფია. მე ის თეთრი ბარათი ვარ, ლურჯ-

მა პაკეტმა რომ საქვეყნოდ თხუპნია მიწოდა. თავის მართლებას არ ვაპი-





რებ, მაგრამ, თქვენც ხომ კარგად იცით, ჩემი ბრალი არ არის, რომ ასერიგად დათხუზნილი და უხეიროდ დაწერილი ჩამოვედი თბილისში. ნუ გამეციხავთ, რომ ჩემი დამწერის გვარს არ გავამხელ. ღირსი კი არის, მთელმა ქვეყანამ გაიგოს მისი ამბავი. მეექვსეკლასელმა ბიჭმა ხეივანიდან წერა არ იცის, მაგრამ მაინც მეცოდება.

რედაქციაში ერთ ძალიან მაღალ კაცთან მოვხვდი, ბოლომდე ხეირიანად არც კი წაფუკთხივარ, ისე გაცეცხლდა. მერე ისე ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, რომ სულ კანკალი დამაწყებინა. გაზეთში დაბეჭდვა კი არა, მეგონა, ჩემი დამწერი ამ კაცს ვერ გადაუტრიალებდა. მაგრამ რედაქციაში ძალიან კეთილი ადამიანები ყოფილან. ბიჭს გულთბილი ბარათი გაუგზავნეს, გაჰკიცხეს კიდევ, დაარჩეს.

მე კი დამაწერეს „პასუხი გაეგზავნა“ და ამ ოთახში გადმოგზავნეს.

**პარლისუარი  
გარათის  
ნაპეშვი**

როგორ ფიქრობთ, რატომ ვიყავი ფოსტალიონის ჩანთაში ასე მოწყენილი? თქვენ რა

იცით, გულში რა ბოღმა მქონდა! წინანდლედი ბიჭის, სოსოს უღისციპლინობისა და სიზარმაცის ამბავი მომქონდა რედაქციაში და გულს ის მიკლავდა.

რედაქციაში ერთ ქალთან მოვხვდი. ამათეალიერ-ჩამათვალეირა, კარგა ხანს იფიქრა. გული მიფანცკალეზდა, ვაი თუ გაზეთში გამომაქვეყნოს და სოსოს ამბავი მთელ საქართველოს მოედოს-მეთქი. ქალმა კარადიდან ლამაზად დახატული ფურცელი გამოიღო, სოსოს ამბავი ჩაწერა და წინანდლის სკოლას გაუგზავნა. ფურცელზე ეწერა: „ეს ფურცელი თვალსაჩინო ადგილზე გამოჰკიდეთ და პიონერთა შეკრებაზე განიხილეთ. შედეგი გვაცნობეთ“.

ოჰ, როგორ ამოვისუნთქე, ქალმა რომ უჯრაში ჩამდო. იქ კარგა ხანს მომიხდა ყოფნა, სანამ წინანდლის სკოლიდან პასუხი არ მოვიდა. იტყო-

ბინებოდნენ: სოსოს ამბავი განუხილავთ, ამხანაგებს გაუქიცხიათ, მერე მხარში ამოსდგომიან, და სოსო სანიმუშო მოსწავლე გამხდარა.

ხომ ხედავთ, ყოველთვის არა ყოფილა საქირო ბავშვის გაზეთში, საქვეყნოდ გაკიცხვა! თურმე ისედაც შეიძლება მისი სწორ გზაზე დაყენება.

ემშაკი ხალხია ჟურნალისტები,— იციან ვის როგორ მოექცნენ. საქმეც გააკეთეს და მეც ცოდო არ დამადეს კისერზე. ახლა კი, ვალმოხდილი მეც ამ ოთახში ვარ.


ძალიან ბევრი საინტერესო თავადასავალი შეიძლება მოისმინოს კაცმა ამ ოთახში. როგორც გითხარი, ყველა ბარათს თავისი ბიოგრაფია აქვს, ხოლო ეს ბიოგრაფია დაკავშირებულია ჩვენს პიონერებთან, ესე იგი ამ ოთახში საქართველოს თითქმის ყველა რაიონის პიონერთა ცხოვრებას შეიძლება გაეცნო. ამიტომ ვეძახით ამ ოთახს „ჯადოსნურ“ ოთახს.

**ივანე ხაჩუაძე.**

გახეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი.

# ლაპარაკობს თბილისი

## მოისმინათ პიონერთა ლაჟიონი



თბილისელი მოსწავლე ნათელა გაბოძე. მის ხმას თქვენ ხშირად ისმენთ „საქართველოს პიონერის“ რადიოგადაცემებში.

«ლაპარაკობს თბილისი! ვიწყებთ გადაცემას მოსწავლეთათვის!» — რომელ თქვენგანს არ მოუსმენია ეს სიტყვები რადიოთი! ყველა გადაცემა, რომელიც თქვენთვისაა განკუთვნილი, ჩვენთან, საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემათა რედაქციაში მზადდება.

რადიო სწრაფად შეიჭრა ადამიანის

ცხოვრებაში. იგი გახდა ნამდვილი «უქალაღლო და უმავთულო გაზეთი». რადიოს უსმენს მილიონობით ადამიანი. რადიოს ელვის სისწრაფით მიჰყვება ცნობა. იგი ადამიანთა ურთიერთობის შესანიშნავი საშუალება გახდა. ერთი მოხდენილი თქმისა არ იყოს, — რადიოს საშუალებით დედამიწა მნიშვნელოვნად შეიკუმშა.





გადაცემა მიმყავს დიქტორ ზვინაბ ხოჯაევას.

რებმა გამოიჩინეს შესანიშნავი თანხრობა—ხელი მოჰკიდეს ფუტკარის ოჯახის მომრავლებას. თქვენ კარგად იცით, რომ დუშელთა მიერ შეჭედილი სკეზი მეფუტკრობის საბჭოთა მეურნეობა «პიონერის» პირველი მერცხლებია. ჩვენი რადიოგაზეთი უმალ გამოეხმაურა ამ საქმეს.

მეფუტკრობა სიტყვამ მოიტანა, თქვენ კი ათასი მშვენიერი წამოწყება გაქვთ. მარტო პიონერული ორწლედის შესანიშნავი გეგმა რად ღირს! ჰოდა, მეგობრებო, ჩვენი რადიოგაზეთიც სწორედ იმისათვისაა მოწოდებული, ეს თქვენი კარგი წამოწყებანი გააშუქოს, დაგეხმაროს აღებულ ვალ-

საქართველოს რადიომაუწყებლობის პროგრამაში საბავშვო გადაცემებს დღეში საშუალოდ 48 წუთი აქვს დათმობილი. შემოდებულია რადიოგაზეთი «საქართველოს პიონერი» და რადიოჟურნალი «ნაკადული».

რადიოგაზეთი «საქართველოს პიონერი», როგორც იცით, მოლაპარაკე პიონერული ცხოვრებას, იგი ასახავს პიონერულ ცხოვრებას, იმ საინტერესო საქმეებს, რომლებსაც თქვენ, ჩვენო პატარა მეგობრებო, სკოლაში აკეთებთ. აი, ვთქვათ, დუშელმა პიონე-

ჯ. ძიძვა, ვ. ვაშაყმაძე და შ. გეგეჭკორი ამჟამად ბენ მორიგ ლიტერატურულ გადაცემას.



რ. ჩაჩანიძე და ლ. გურული კიდევ ერთხელ ამოწმებენ მასალებს და გადაცემაც მალე მზად იქნება.



დებულებათა შესრულებაში. თქვენ, რასაკვირველია, ბევრ ჟურნალს კითხულობთ. ისინი კობხად შეკინძული და ლამაზ ყდაში ჩასმული ჟურნალებია. მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ რადიოჟურნალი! თითქოს უცნაურად ჟღერს. არაფერიც არ არის უცნაური. ეს შეიძლება უცნაური მაშინ იყო, როცა რადიო ახლად იდგამდა ფეხს. მაშინ დიქტორები უშუალოდ მიკროფონთან კითხულობდნენ ტექსტს. ეს კი თავისთავად ერთობ ზღაპრულად რადიოს კიდე-განს. მაგრამ სულ სხვაა დღეს. გადასაცემი მასალის დიდი ნაწილი წინასწარ იწერება ფირზე, ფორმდება მუსიკალურად და ასე მომზადებული გადაცემა შემდეგ მიდის ეთერში. დღეს ჩვენ არამც თუ რადიოჟურნალი, რადიოსპექტაკლიც კი გვაქვს. ეს იმის მეოხებით მოხერხდა, რომ გადაცემა წი-



ნასწარ იწერება ფირზე კეთილმოწყობილ სტუდიებში.

აი, თქვენ გესმით ნაკადულის ჩხრი-  
ალი. ხუჭავთ თვალს, მართლაც გგონიათ, რომ სადღაც ტყეში ხართ, სადღაც კლდეზე მოხტის ნაკადული და მას ბუნების მშვენიერებით მოხიბლული ადამიანის სიმღერაც ერთვის.

ერთ წუთს ეს თავდავიწყება ძალიან შორს მიგაქანებთ: იგიწყებთ მაგიდაზე დადგმულ პატარა რეპროდუქტორს, საიდანაც ჩვენს რადიოჟურნალს «ნაკადულს» გადმოსცემენ.

«ნაკადული» ჯერ სულ ახალგაზრდაა, იგი ჩვენი რედაქციის ერთ-ერთი ახალი წამოწყებაა, მაგრამ უკვე ბევრი მსმენელი ჰყავს. საყურადღებოა ისიც, რომ მის მომზადებაში ნორჩებთან ერთად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანებიც.

ახლა თქვენს ყურადღებას რადიოდანამუშევრებზე შევაჩერებ. ეს, რასაკვირველია, არც თუ ისე ადვილი საქმეა. რეჟისორი კომპოზიტორთან ერთად წინასწარ არჩევს მუსიკას რადიოდანამუსიკათვის. არჩევს მსახიობებს, იმ ნიშნით, რომ თითოეულის ხმა მკვეთრად განსხვავდებოდეს, რადგან მოსმენის დროს თუ ხმები ერთმანეთს ემგვანება, მაშინ გამირებსაც ვერ განვასხვავებთ. ეს კი შინაარსში ცუდად გაგვარკვევს. შემდეგ ხდება ხმაურის ჩაწერა. ვთქვათ, დადგმაში მოქმედება მიმდინარეობს მდინარის პირას, მაშინ რეჟისორი წერს მდინარის ხმაურს. ასე და ამგვარად, ყველა მოსამზადებელი სამუშაო წინასწარ გულდაგულ მიმდინარეობს.

თუ რამდენად ფაქიზია ეს სამუშაო, ამის შესახებ გეტყვი: თქვენ ყველამ კარგად იცით უცნაური ხის ბიჭის

ბურატინოს თავგადასავალი. მერწმუნეთ, მის შემქმნელ ლურჯცხვირ კარლოსზე ნაკლები შრომა არ დაუხარჯავს რეჟისორს, რომელიც ბურატინოს ხმას ეძებდა. იგი დიდხანს დადიოდა ჩაფიქრებული, თავისთვის იმეორებდა: «ხის ბიჭი! ხის ბიჭი! როგორ შეიძლება ლაპარაკობდეს იგი? ხმა რაღაც მჭახე უნდა ჰქონდეს, თითქოს და, სადღაც ტყეში ბებერ მუხას ნაჯახი დაცხესო».

ზოგი არწმუნებდა:  
— შენც ერთი, მოგცლია! რა საჭიროა ამდენი წვალება, აიღე და უბ-



„გამარჯობათ ბავშვებო!“ — ესალმება რადიომსმენელებს დიქტორი ზაურ აფაქიძე.

რალოდ ჩასწერე წრიბინა ბიჭი, ესეც შენი ბურატინო!

მაგრამ რეჟისორი ასე არ ფიქრობდა. მას ყურში ხის ღრქიალი ესმოდა. აიღო ცარიელი ტიქა და ჩასაძახა შიგ. ხმა მართლაც უცნაური იყო, მაგრამ რეჟისორს მაინც არ მოეწონა. და აი, ერთხელ ის სტუდიაში ხმის ჩამწერ აპარატთან იდგა. ერთბაშად აპარატი დიდ სიჩქარეზე გადართეს და იმწამსვე მოისმა წრიბინა, მაგრამ მაინც განსხვავებული, რაღაც მჭახე ხმა. გახარებულმა რეჟისორმა ტაში შემოჰკრა. «ვიბოვე, ვიპოვეო», — გაჰყვიროდა ის. შემდეგ გვიამბო, რომ ოთხი დღეა ესმოდა, ესმოდა ყველგან, მაგრამ ვერსად ვერ პოულობდა და

ოპერატორი შ. კიკვაძე „ეძებს“ ჭანჭიკელს ხმას.

აი, აქ, აპარატში იპოვა მურსტინის ხმა.

თქვენ ყველამ მოისმინეთ ჩვენი რადიონისცენირება მაცვალა მრეველიშვილის პოემისა «ჭანჭიკელა». ჭანჭიკელა თქვენი საყვარელი გმირია. არც მეტი და არც ნაკლები, იგი ღვიძლი ძმია ჩიპოლინოსი და ბურატინოსი. ჰოდა, ამ ჭანჭიკელას ხმის შერჩევის დროსაც ცოტა ექსპერიმენტი როდი დაგვჭირდა. ჭანჭიკელაც ხომ თავისებურად უნდა ლაპარაკობდეს. ლითონის ბიჭს აუცილებლად ხმაც ლითონისებური უნდა ჰქონდეს. ჩვენ, მგონი, ეს შევქელით.

ერთი სიტყვით, დამთავრდება რა მუსიკისა და მსახიობების შერჩევა, ხმაურის ჩაწერა, — რეჟისორი იწყებს რეპეტიციებს. ცოტა მსახიობები კარგად მომზადებან, ჩაწერენ დადგმას, შემდეგ ჩანაწერებს ედება ხმაური, მუსიკა, და საბოლოოდ — ესეც შენი დადგმა!

მაგრამ არც რადიოგაზეთი «საქართველოს პიონერი», არც რადიოჟურნალი «ნაკადული» და არც რადიოდანამუშევრი ამოწურავს საბავშვო გადაცემების პროგრამას. თქვენს შესანიშნავ საქმეებზე, ჩვენო პატარა მეგობრებო, ბევრ ნარკვევს, საუბარს, რეპორტაჟს გადაცემით.

აი, სკოლაში მივიდა რადიოკორესპონდენტი. მას ხელში პატარა ჩემოდანი უჭირავს. იგი შედის პიონერთა ოთახში, სადაც ახლა რაზმეულის საბჭოს სხდომაა. კორესპონდენტი ხსნის ჩემოდანს, ჩნდება «ბაბინებზე» დახვეული ორი ფირი. კორესპონდენტი თითო აწვება ყუვისფერ დილაკს, და აპარატი იწყებს შრიალს. «ბაბინები» ბრუნავენ.

ცოტა ხნის შემდეგ პიონერები ისმენენ თავიანთ ნალაპარაკებს. ეს ჩემოდანი თურმე ხმისჩამწერი აპარატი — «რეპორტიორ 2» ყოფილა.

ჩვენ ბევრი ნორჩი კორესპონდენტიც გვყავს. ისინი რედაქციაში ბევრ წერილს გზავნიან. წერილების დიდი უმრავლესობა საქმიანია და, რასაკვირველია, გადაიცემა. ყველა წერილს კი, აბა, როგორ გადაცემთ! ამან გული არ უნდა გაგიტეხოთ! უნდა მოიწეროთ ხშირად და საქმიანად და არც რედაქცია იქნება გულცივი ნორჩი მსმენელების წერილების მიმართ.

**როლან ჩაჩანიძე.**

საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემათა უფროსი რედაქტორი.







რედაქცია იწყებს მორიგი გადაცემისათვის მზადებას: რედაქტორი დ. ზუაზაძე, უფროსი რედაქტორი ა. გაჩეჩილაძე, უნივერსიტეტის ასპირანტი ა. ალექსიძე, რეჟისორის თანაშემწე ნ. გამყრელიძე.

# როცა ჩანთავ ტელევიზიონს

— გამარჯობათ ბავშვებო! თბილისის ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქცია იწყებს თავის მორიგ გადაცემას... — ჩვეულებრივ ასე იწყება ყოველ კვირა დილით სატელევიზიო გადაცემები და ათიათასობით პიონერი თუ ოქტომბრელი ადგილს იკავებს ტელევიზორის ეკრანთან.

დიქტორმა პროგრამა უკვე გააცნო ბავშვებს. ნორჩი მაყურებლებიც განეწყვენნ მათთვის საინტერესო გადაცემის სანახავად და...

აქ მინდა შევწყვიტო თბრობა, რადგან ვატყობ „პიონერის კლუბის“ წევრებს, რომელთაგან ბევრი ჩვენი მაყურებელიცაა, უფრო აინტერესებთ არა ის, რასაც ტელეეკრანზე უყურებენ, არამედ ის, რაც ეკრანის მიღმა რჩება, რასაც, ჩვეულებრივ, ვერ ხედავს მაყურებელი...

და, თუ ეს ასეა, გიწვევთ ჩვენთან ტელესტუდიაში...

წარმოიდგინე, რომ შენ ახლა შინ კი არ ზიხარ და ამ სტრიქონებს კითხულობ, არამედ ჩვენთან, რედაქციაში იმყოფები. ოთახში ბევრი რამ იპყრობს შენს ყურადღებას. აგერ, შენთვის უკვე კარგად ნაცნობი მოსწავლეთა სატელევიზიო თეატრის ემ-

ბლემა, ფარზე შენი თანატოლების ფოტოსურათებიც გაუკრავთ. ესენი, რომელთაც ხშირად ხედავ ხოლმე ტელეეკრანზე, მოსწავლეთა სატელევიზიო თეატრის წევრები არიან.

შენი ყურადღება მიიპყრო უცნაური ქალაქის მაკეტმა, რომელიც საიდანაც ძალიან გეცნობა. უცებ მოგაგონდა ზღაპრული ქალაქი, სადაც პიონერი ეთერი და მისი ახალგაზრდობილი მეგობარი ირეთე მოხვდნენ. გახსოვს სატელევიზიო დადგმა „მრუდე სარკეების სამეფო?“ შენ მაშინ გეგონა, რომ ამ ზღაპრული ქალაქის ქუჩები, მისი მოედნები და ციხე-კოშკები ისევე იყო სტუდიაში აგებული, როგორც ეს თეატრში და კინოგადაღებების დროს იგება ხოლმე. აბა, საიდან გეცოდინებოდა, რომ ნამდვილი სახლებისა და სასახლეების, ქუჩებისა და მოედნების ნაცვლად ამ მაკეტს გიჩვენებდნენ, ხოლო სტუდიაში განლაგებულ დეკორაციის დეტალებთან მსახიობები მოქმედებდნენ. შენ კი გეგონა სტუდიის პავილიონი ამ ზღაპრულ ქალაქად გადაქცეათ...

აი, კიდევ...  
ოთახის კუთხეში მოთავსებული დიდი რკინის ფარდა ხმაურით გაიღო. რკინის ყუთებს, რომლებიც

თაროებზეა შემოწყობილი, საკუთარი ნომერი და სახელი აქვს.

— მომიძებნეთ, გეთაყვა, ღრუბლები და ცეცხლი!

ვხედავ, გელიმება, აბა, საიდან უნდა მოიტანოს ამ გოგონამ ღრუბელი, ან ცეცხლი?

საქმე ისაა, რომ ღრუბლებიც და ცეცხლიც ამ ყუთებში ინახება. თვალთმაქცური აქ არაფერია. ღრუბლები კინოფირზეა გადაღებული და ორი მეტრი სიგრძის ფირი წრედაა შეკრული. ჩადებ ამ წრედს კინოსპროექტო აპარატში და ეკრანი ღრუბლის სქელი ქულებით დაიფარება. ასევეა ცეცხლიც. არა მარტო ცეცხლი! ზღვის ტალღები გასურთ? ინებეთ! თოვლის ფანტელები? ესეც აქ არის!

რკინის ყუთებში ჩაწყობილი ფირები, ფოტოსურათები, მხატვრების მიერ ლამაზად გაფორმებული ტიტრები, მაგნიტურ ფირზე ჩაწერილი მუსიკა და ყდაში ჩასმული გადასაცემი ტექსტები ლიფტით ქვემოთ, პირველ სართულში ჩააქვთ. მოდით, ჩვენც არ დავგავიანოთ. ახლა ხომ მანქანა ფუნქიკულორზე მიდის, იქ, მთის თხემზე აგებულ სატელევიზიო ცენტრში.

მანქანა ნელა დაიძრა. აყვა კოჯრის გზატკეცილს და შემდეგ სტალინის სახელობის პარკისაკენ გადაუხვია. ოც წუთში ჩვენ უკვე ტელეცენტრში ვართ.

ხედავ, ქვემოდან, ქალაქიდან შედარებით როგორ პატარად მოჩანდა ლითონის ვეებერთელა ანძა. დააკვირდი — ამ კონსტრუქციის ქვედა ფერმის დიამეტრი დაახლოებით 48 სანტიმეტრია, სიმაღლე კი 192 მეტრია.

ახლა, მოდი, სააპარატო ოთახში შევიდეთ. ამ გრძელ მაგიდას რომ უყურებ, ეს სარეჟისორო პულტია.

პულტის წინ ხუთი ერთნაირი ზომის ეკრანია განლაგებული, აქვე მრავალი სხვადასხვანაირი ლილაკია. თითოეულზე სხვადასხვა ციფრია აღნიშნული. ვთქვათ, ჩართე ლილაკი





№ 2—ეკრანზე, რომელიც რეჟისორის ასისტენტის წინაა მოთავსებული, გაჩნდება ზუსტად ის გამოსახულება, რომელსაც სტუდიიდან № 2 კამერა უჩვენებს. სულ სტუდიაში ორი კამერა დგას და ერთმანეთის მონაცემებით მათი ობიექტივის წინ მოთავსებული გამოსახულება იგზავნება ეთერში. ეთქვათ, სტუდიაში გამოდის მომღერალი. ერთი კამერა (№ 1) იღებს მომღერალს მთელი ტანით, ანუ როგორც მას ვუწოდებთ ხოლმე—შორი ხედით; № 2 კამერა კი სათანადო ობიექტივით იგივე გამოსვლელს იღებს ახლო ხედით, ესე იგი ეკრანზე ვხედავთ მხოლოდ მის სახეს. რეჟისორის ასისტენტი წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით ჩართავს ხან პირველ კამერას, ხან მეორეს, და ტელეეკრანზეც ერთმანეთის მორიგეობით იცვლება კადრები.

ახლა კი მოითმინე—ლაპარაკი აღარ შეიძლება! ხედავ, შუქნიშანზე რა წერია? „სიჩუმე, მიკროფონი ჩართულია!“ უკვე რეპეტიციის დაწყების დროა და მოდით ხელს ნუ

რის ეკრანზე კალათბურთელები გამოჩნდნენ. დაძაბული, მწვავე თამაშია. მაგრამ საიდან გაჩნდნენ სტუდიაში კალათბურთელები? ანდა ამდენი ბავშვი როგორ დაიტია ამ მომცრო სტუდიაში?

აბა, დააკვირდი,—სტუდიაში არავითარი თამაში არ არის. ოპერატორი, რეჟისორის თანაშემწე და კიდევ რამდენიმე ყურმილიანი ახალგაზრდა იმის მოლოდინში არიან, თუ როდის ჩაირთვება სტუდიის კამერები და ფოტოსურათებისა და სტადიონის პატარა მაკეტის გამოსახულებები ეთერში გაიგზავნება.

კალათბურთი? კალათბურთის თამაში კი კინოფირზე აღბეჭდილი და მას კინოსაპროექციო ოთახში მოთავსებული მესამე კამერით უჩვენებენ. ხმაური—ხალხის ოვაცია, წამოძახილები კი—მაგნიტურ ფირზეა ჩაწერილი და იქიდან მოისმის.

ხმის მაგნიტური ჩაწერის მეთოდმა დიდი ხანია შესაძლებელი გახადა რადიოში და, რასაკვირველია, ტელევიზიაშიც სხვადასხვა საჭირო ხმის ეფექტების შექმნა. მაგალითად, თუნდათ მარტენის საამქროს შთაბეჭდილება შექმნან, ხმის რეჟისორი აიღებს მუყაოს პატარა ყუთს, რომელსაც აწერია „მარტენის ხმაური“, ამოიღებს იქიდან ფირს, დადებს მას მაგნიტოფონზე და... ოთახშიც ისეთი ხმაური ატყდება გეგონება სადაცაა ლუმელიდან ლითონის ყვითელი ნიაღვარი გადმოეშვებაო...

თუ გსურს თავი წარმოიდგინო მატარებელში, ესეც იოლი საქმეა. აიღე სათანადო ფირი, ჩართე მაგნი-

ტოფონი და ყველაფერი როგორც ტარებელი ქშენით ნიადაგს სივრცეს...

ჩვენ აქ გავერთეთ და სულ დამავიწყდა მეამბნა ტელევიზიის ხვალინდელ დღეზე, მის მომავალზე.

გავა სულ ცოტა ხანი და თბილისის ტელესტუდიის გადაცემებს ნახავს არამარტო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის მაყურებელი. სარეტრანსლაციო სადგურების ქსელის შექმნა საშუალებას მოგვცემს ჩვენი გადაცემები ნახოს საქართველოს მთელმა მოსახლეობამ და არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში! თბილისი— მოსკოვის სარეტრანსლაციო ქსელის მშენებლობის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდება გაცვლითი გადაცემების მოწყობა. თბილისისა და საერთოდ მთელი საქართველოს ტელემაყურებლები თავიანთ ეკრანებზე იხილავენ როგორც მოსკოვის სტუდიის გადაცემებს, ასევე კიევის, მინსკის, ლენინგრადის, სოჭის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქების სტუდიების პროგრამებსაც.

არა, ეს არ არის ოცნება! ესაა ჩვენი, საბჭოთა ტელევიზიის ხვალინდელი დღე!

ფერადი ტელევიზია? არც ესაა შორეული მომავლის საქმე. უკვე გასულ წელს მოსკოველებმა ნახეს ფერადი ტელევიზიის რამდენიმე საცდელი გადაცემა. სულ მალე კი ფერადი გამოსახულება ტელეეკრანზე ისევე ჩვეულებრივი და რეალური მოვლენა გახდება, როგორც შავ-თეთრი გამოსახულებაა.

**აპოსთლილ ბაჩაილას,**

საქართველოს ტელესტუდიის საბავშვო გადაცემათა უფროსი რედაქტორი.




შევეუშლით, ჩუმად გავიდეთ სტუდიიდან.

სააპარატო ოთახშიც არ შეიძლება ხმაური. ხედავ, რეჟისორმა განკარგულება გასცა და ოთახში შენთვის კარგად ნაცნობი მუსიკის ხმა გაისმა. სწორედ ამ მუსიკით იწყება საბავშვო გადაცემები.

მუსიკის აკორდები მინელდა და რეპროდუქტორიდან ბავშვების ერთიმული გაისმა. იმავე წამს ტელევიზო-

მონტაჟდება ახალი გადაცემა. რეჟისორის ასისტენტი და კუხიანიძე, მონტაჟის ოსტატი გარეშიც.

დიქტორი ა. მაჭავარიანი, ოპერატორი რ. გაბაშვილი, „მერცხლის“ მონაწილე მოხწავლე დიქტორები ამონტაჟებენ ახალ გადაცემას.







# ქვეყანა და ქვეყნის

მარკო ტოვაკი

ნახ. რ. ცუცქერიძისა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

როცა გარეთ ჟინელღავს, ცივი ქარი დაჰქრის და თოვლის ნამცეცა ფანტელებს ჰაერში ბზესავით ანიავებს, ყოველთვის ერთი საშინელი ღამე მაგონდება.

იმ დღეს ძლიერი ქარაშოტი ამოვარდა. ეზოში გვარდიელები შემოიჭრნენ, მამას ხელი სტაცეს და თოფის კონდახის ცემით გაიგდეს წინ. დიდხანს მივდევდით ფეხდაფეხ მე და ჩემი დები, სანამ გვარდიელებმა არ დაგვიფრინეს. ნამქერში თვალს ძლივს ვახეღდით, პირი სველი თოვლით გვევსებოდა. დაქანცულები, ნახევრად მშვივრები დავბრუნდით შინ.

დედამ ჩანახიდან უკანასკნელი ფქვილი გადმოხერტვა და მჭადი მოზილა. ჩვენ ბუხარს შემოვუსხედით, კისრები წავივარდელეთ და თვალს არ ვაშორებდით კეცზე დაცხოზილ მჭადს. სულ ხუთნი ვიყავით: დედა და ოთხი ჩვენ, ბავშვები. ჩემი ყველაზე უფროსი და, ნინიკო, რამდენიმე დღის წინ გახდა თხუთმეტი წლის; ყველაზე უმცროსი, ოთხი წლის მიტო, ისეთი მიღეული და ფერმკრთალი იყო, თვალებს რომ დახუჭავდა, გვეშინოდა არ მოკვდესო. სწორედ იმ დღეს, დილით, მიტო რძის ქვაბში ჩაძვრა, რაც ნაღები იყო სულ ერთიანად შეჭამა. დედამ ქვაბს რომ დახედა, ელდა ეცა.

— ვინ არის ასეთი სულწასული, ვინ აღორებს მუცელს?!—მკაცრად იკითხა დედამ. ისედაც გაღეული მიტო, საცოდავად მოიკუნტა. შეგვეცოდა. ერთმანეთს გადავხედეთ და გადავწყვიტეთ დედასთვის არაფერი გვეთქვა.

— დარიკოს კატა ყაჩაღივით შემოიჭრა, ხელის აქნევაც ვერ მოვასწარით, ისე უცბად შესვლია რძე,—სწრაფად მიუგო ნინიკომ.

ჩვენი მეზობლის შავი კატა მთელს უბანში განთქმული იყო ქურდობით და მსუნავობით. რა კარგ დროს გაახსენდა ნინიკოს დარიკოს წუწკი კატა.

— რა ვუყოთ ახლა ამ კატის ნასვლეს? — მკაცრად ქვაბს ხელი დედამ.—უნდა გადავღვაროთ, მეტი რა გზაა!

— არა, არ გადავღვარო!—ვეცით ხელებში. როცა დედამ რძე ჭიქებით ჩამოგვირიოვა, მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ, რომ მიტოს ტუჩებზე რძე თეთრად ჰქონდა შემხმარი. ალბათ, დედამაც კარგად შეამჩნია, ვინც შესვლია რძე, მაგრამ არაფერი თქვა.

ვისხედით და ველოდით თუ როდის გამოცხებოდა ჩვენი უკანასკნელი კვერი. დედამ პატარა მოგრძო მაგიდა ბუხართან ახლოს დადგა. მჭადი კეციდან აიღო და მაგიდაზე დადო. არასოდეს დამავიწყდება ის მთვარესავით მრგვალი, ნაპირაბშემობრაწული, ყვითელი მჭადი! დედამ ის ოთხად გაჭრა და დაგვირიოვა. მიტომ მაშინვე პირისკენ გააქანა. მეც მადიანად ჩავკბიჩე. ნინიკომ ქერქი შემოაცალა და შეაკნატუნა. ჩემი მეორე და, ქეთინო კი, ხან ჩვენ შემოგვეცქეროდა და ხან ბუხართან მოფუსფუსე დედას. მჭადისათვის ხელი არ უხლია. დიდრონი შავი თვალები ცრემლებით ავსებოდა და უპრიანობდა.

— დედას?!—ათრთოლებული ხმით წამოიძახა მან.—დედას არ უნდა მჭადი?

ლუკმა პირში გაგვიშეშდა. ჩვენ მხოლოდ ახლა შევნიშნეთ, რომ დედას თავისთვის ერთი ნამცეციც არ დაუტოვებია.

— ეს—დედას!—თქვა მიტომ და თავის მჭადს ნახევარი წაატეხა.

— ეს—დედას!—მაშინვე შუაზე გადატეხა თავისი წილი ნინიკომ.

მეც მოვატეხე ნაპირი ჩემს მჭადს და დედას გავუწოდე.

— დედიკო, მოდი, შენც ჩვენთან ერთად დაჯექი და ისაუზმე!—შეგებატიყეთ ერთად. დედა მაგიდასთან ჩამოჯდა. მჭადის ნატეხები მოაგროვა და ხუმრობა დაგვიწყო:

— მე ყველაზე მეტი შემხვდა. მე გავსუქდები, ლოყები გამომებერება, თქვენ კი ასევე გაჩხიკულები დარჩებით. მამა რომ დაბრუნდება, ჩემზე იტყვის: „მთელი ჩვენი ქონება ამას უჭამიაო“.

ჩვენ შევცქეროდით დედას და ვერ წარმოგვედგინა, როგორი იქნებოდა იგი მსუქანი, ლოყებგამობერილი. ისეთი გამხდარი იყო, რომ ცხვირში სინათლე გასდიოდა. მხოლოდ დიდრონი, თაფლისფერი თვალები ენთოს სანთლებივით. ცოტა ხანს გვეხუმრა, მერე თბილად მოიფუთნა და კარები გამოაღო:

— არ წახვიდეე!—შესტირა მიტომ.

— ძალიან ცუდი დარია, ნუ მიღიხარ!—მივარდა ქეთინო.

— რა დაგემაართათ! პირველად ხომ არ მივდივარ!—შემოგვანათა თვალები დედამ და კარები გაიხურა. ვიყავით მარტო კარებგამოკეტილ ოთახში, ვიციკირებოდით ფანჯარაში. საშინელი თოვლ-ჭყაპი იყო. ცარიელ ქუჩებში



ცენოსანი გვარდიელები თუ ჩაიქროლებდნენ ხანდახან. მოსალამოვდა, დედა კი არსად ჩანდა.

- მე წავალ და მოვძებნი,—თქვა ნინიკომ.
- არა, არ გაგიშვებ!—გადაუდგა წინ ქეთინო.
- დედა მინდაა...—ატირდა მიტო.
- მეც კი მინდა დედა, მაგრამ ჩუმადა ვარ!—ვუთხარი მე.

გარეთ ქარი ზუზუნებდა. ბუხარში ცეცხლი ბეუტავდა. ოთახში ჩამობნელდა. შორიდან კანტიკუნტად ისმოდა სროლის ხმა. საცოდავად მოვიბუზეთ. ერთიმეორეს მივეყუყუეთ და გავყუჩდით. უცებ კარები ფართოდ გაიღო და ოთახში დედა შემოვიდა. მთლად შეფიფქული იყო. ყოველთვის, როცა კი სადმე წავიდოდა, აუცილებლად მოქონდა რამე. ახლა კი ხელცარიელი დაბრუნდა.

- მშია!—წამოიკნავლა მიტომ.
  - არც კი გრცხვენია! ახლა არა ვკამეთ?!—უსაყვედურა ქეთინომ.
- დედამ ტანსაცმელი გაიბერტყა. ბუხარში ცეცხლი

გაქექა. საიდანღაც წელანდელი მჭადის ნატეხები მოალაგა და კეცზე დააწყო გასაფიცებლად. ჩვენ ერთიმეორეს გადავხედეთ.

— საწყალი დედა! ისევ ჩვენთვის შეუნახია!—გვანისნა მჭადის ნატეხებზე ქეთინომ. ჩვენ ნელა-ნელა, თითქოს რაიმე დანაშაული ჩაგვედინოს, ისე დავიწყეთ ჭამა. ქეთინოს თვლებზე ცრემლები მოადგა. მჭადის ნატეხი დედას გაუწოდა და სლუკუნით უთხრა:

- თუ არ მოტეხე, იცოდე, არც მე შეგვჭამ.
- დედამ ერთი ლუკმის ოდენა ჩამოტეხა და გაიღიმა.

— რა კარგია შვილის ხელით გამოწვდილი ლუკმა! სულაც რომ არ შეგვჭამო, მაინც მთელ წელიწადს მაძლარი ვიქნები. როცა დავბერდები, შრომა აღარ შემეძლება, ვიცი, ქეთინო არ დამტოვებს უპატრონოდ, სადაც არ უნდა იყოს, ყოველთვის მომაწვდის ლუკმას.

— არც მე დავტოვებ!—ტირილით შემოხვია კალთაზე ხელები მიტომ.

მე გული ამიჩუყდა. თქმა ვერაფრისა მოვახერხე. ნინიკომ ლოგინები გავვიშალა. ჩავწყვეით, მაგრამ რატომღაც არ გვეძინებოდა. დედა იჯდა ბუხართან, ტუჩები მაგრად მოეკუმა, შუბლი დანაოჭებოდა. ხელში წინდის ჩხირები ეჭირა და ქსოვდა. მალე ქსოვას თავი მიანება. სანთელი ჩააქრო და მიტოს გვერდით მიუწვა.

„რატომ ყველაზე უმცროსი არა ვარ,— ვფიქრობდი მე,—თვალი ცრემლებით მევსებოდა,—როგორი სიხარულით ჩავეკვროდი გულში ჩემ საყვარელ დედიკოს!“

გარეთ ქარი ჩადგა, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.







— მიშა!—შეეძახეთ ერთხმად. ერთიმეორეს არ ვაცდიდით, ვეხვეოდით.

— დედა!—გაისმა ამ დროს ნინიკოს ათრთოლებული ხმა, —ფქვილი რომ აღარა გვაქვს, ხვალ რაღა უნდა ვჭამოთ?—მე შეგნიშნე, ქეთინომ როგორ ჰკრა მუჯღუგუნ გვერდში ნინიკოს: —სულელო, ხვალამდე ვერ მოიცადე?!—ჩასჩურჩულა ყურში.

— ქვეყანა დიდია!—წყნარად თქვა დედამ.—ნუ გეშინიათ, შვილებო! შიშხილით არ დავიხოცებით!

არ მახსოვს როგორ ჩავგვიძინა. დილით ადრე კარებზე ბრაახუნმა გამოგვადვიდა.

— კარი გაგვიღეთ! შინაურები ვართ!—გაისმა დაბალი, რბილი ხმა.

დედამ კარები გააღო. ოთახში სამი ჯარისკაცი შემოვიდა, სამივეს გრძელი მაზარები ეცვათ, თავზე წითელვარსკვლავიანი „ძაბრის“ ქუდები ეხურათ. ერთი მათგანი თამამად წამოვიდა ჩვენსკენ, თან გვტიცნოდა. თვალები დაგაჭკივტეთ.

— ვაი, სირცხვილო, ველარ მიცანით? — ხმამაღლა

გადახარხარა მან და ქული მოიხადა. შუბლთან წამლისფერი ქოჩორი ჩამოეშალა.

— მიშა!—შეეძახეთ ერთხმად და ლოგინიდან წამოცვივდით. ერთიმეორეს აღარ ვაცდიდით, ვეხვეოდით, კინალამ დავალრჩეთ.

— როგორ გადარჩი? ტყვია არ მოგხვედრია?—ფართო ბეჭებზე უსვამდა ხელს დედა თავის საყვარელ დის-შვილს. ჩვენს დაბაში მას ყველა იცნობდა. ბოლშევიკ მიშას ეძახდნენ. საოცრად გამბედავი და მამაცი იყო. კუპრივით შავი თვალები ქონდა. ბავშვებთან ხუმრობა უყვარდა. ხან „რაზმელებს“ გვეძახდა, ხან „ჭერკვეშელებს“. გადაგვკოცნა ოთხივენი, მერე დედას მიუბრუნდა:

— მთელი ღამე ფეხით მოგდივართ, დეიდაჩემო. გათოშილები ვართ. ცეცხლი დაგვინთე, გეთაყვა, ცხელი ჩაი დაგვალევენე!

მაზარები გაიხადეს, ხელ-პირი დაიბანეს, ბუხარს შემოუსხდნენ. მაღალმა, ქერათმიანმა საველე ჩანთა გახსნა, იქიდან თეთრი პური, შაქარი და შაშხი ამოიღო. ალბათ, თვალები ძალიან დაჭყეტილი მქონდა, რადგან, ჩემსკენ რომ შემობრუნდა, გამიღიმა და თვალი ჩამიკრა.

— აბა, ვის უნდა ტკბილი ჩაი, თეთრი პური, გემრიელი შაშხი?!—დაიძახა მეორემ, ფართოსახიანმა მეომარმა. ყველანი მაგიდასთან გამოვიჭიმეთ, დედაც ჩემთან ერთად ჩამოჯდა.

— აიღეთ! აიღეთ! პაპ, პაპ, პაპ! რა გემრიელია!—გვთავაზობდა მიშა. ქეთინომ ცარიელ ჩანთას გადახედა.

— ჩანთას რას უყურებ!—შენიშნა მაღალმა, ქერა მეომარმა, —სურსათს კიდევ ვიშოვით! ჩვენები მოდიან, საცაა დაბაში შემოვლენ.

\* \* \*

მაღე გაზაფხული დადგა. ჩვენს ბაღში ალუბლები, ატმები, ვაშლები ყვავილობდნენ. ხან ერთ ხესთან მივირბენდით ყიფინით და ხან მეორესთან. ყვავილებს ვთვლიდით:—ერთი, ორი, სამი...—აბა, ხეზე ყვავილს რა დათვლის—აუარბებელი იყო.

— წელს ძალიან ბევრი ხილი გვექნება, სუყველას გვეყოფა. ზამთრისთვისაც შევიინახავთ!—ვიძახდით გახარებულნი.

— პურიც ბევრი გვექნებაო!—გაისმა ამ დროს ჩემი უმცროსი ძმის გაბმული ძახილი; საიდანღაც წრიპინებდა, თვითონ კი არსად ჩანდა.

— სად არის, სად არის?—თვალეები დააცეცეს ბავშვებმა. ისევ მე ვიპოვე: ალუბლებქვეშ მუხლებამდე იდგა ბალახი, მიტო შიგ გაწოლილიყო და გოჭივით კოტრილობდა...

— ეი, გალეულო! შენ რა იცი, რომ პურიც ბევრი გვექნება?—წაადგნენ თავზე მეზობლის ბიჭები.

„დედამ ასე თქვაო“,—თითქოს მღერისო, ისე გააბა მიტომ. თან ბალახში გორაობდა; მკვირცხლ თვალებს ხან დახუჭავდა, ხან გაახედა. ალუბლის ყვავილების თეთრი, სიფრიფანა ფურცლები თოვლის ფანტელებივით აცვივოდა ბიჭუნას,





მალე უორჩნიძე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

1.

ერთი მეფე იყო ქვეყნად  
გამჭრიახი ჰქონდა თვალი,  
ელვასავით ანათებდა  
მტრის ლაშქარში მისი ხმალი.  
ფეხზე ეცვა მწვანე ქოში  
და შვენიოდა ყაწიმები...  
მის დიდებას სამეფოში  
გაჰყოფდნენ არწივები.  
აფასებდა ვაჟკაცს შრომით,  
და თუ ქროდა ომის ქარი,  
ტრიალებდა, როგორც ლომი  
გულადი და უშიშარი.

\* \* \*

ერთხელ, როცა შორი გზიდან  
შინ დაბრუნდა ნაომარი,  
ბაირაღებს აღარ შლიდა  
კოშკის თავზე შლეგი ქარი.  
გაუკვირდა, დედოფალი  
არ დაუხვდა მომღიბარი,  
თურმე ავად გამხდარიყო  
დედისერთა მეფის ქალი.  
აუვარდა თავში სისხლი  
და წარბები შეჰკრა რისხვით.  
ბრძანა:—როგორ, ჩემი ქალი,  
სამეფოის შნო და თვალი,  
ავად არის? აბა, ჩქარა,  
რას უყურებთ უქნარები,  
დატრიალდით როგორც ჯარა,  
მოუყვანეთ მკურნალები.  
მოუტანეთ საიმედო,  
უებარი წამლის წვეთი.  
შეუსრულეთ რაც ინებოს,  
სხვა ვინა მყავს მაგის მეტი?  
გამოიბით მუხლი ქარის,  
შეაჯერეთ მთა და ბარი,

# ყარყუმის პოსესხაძე

ზღაპარი

უკვდავების ძებნით წყალი,  
მომირჩინეთ ჩემი ქალი.

\* \* \*

იწვა ქალი დედისერთა  
თაფნება და ნებიერი.  
მსახურები უსხდნენ ფერხთან,  
გალობით და ჩანგის ქლერით.  
სასთუმალთან უჯდა დედა,  
დაჰკარგვოდა საწყალს ფერი.  
მეფეს უხმო კლავდა სევდა  
და მათ ამბავს სწუხდა ერი.  
ზოგი ვარდის რტოს აწვდიდა,  
ვედრებით და მუხლის ჩოქით,  
ზოგს მოჰქონდა წყალი წმინდა,  
ყელმოხატულ სველი დოქით.  
ზოგი იჯდა ფერმიხდილი,  
მისთვის ღამეგატეხილი,  
ასული კი ყოველ დღით  
ნებივრობდა ტკბილი ძილით...  
სად არ ძებნეს, რა არ ნახეს—  
ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადალახეს.  
სამკურნალო ბალახები  
კრიფეს, კრიფეს, ბევრი კრიფეს  
ხილიც ზიდეს კალათებით,  
ზოგიც მკუხე, ზოგიც მწიფე.  
უკვდავების წყალი ასვეს,  
ვერ ჩაუქრეს მაინც დარდი.  
მოისურვა, ტახტზე დასვეს,  
მბრძანებელი გახდა მათი.  
დაჰკერეს ბუკი, ტახტზე დასვეს,

მთა და ბარი შესძრეს ლხინით,  
ამ დროს მეფეს ეტყვის ასე,  
მისი ქალი ფერმიხდილი:  
— ახლა ოდნავ მოვმჯობინდი,  
აღარ მაწვეს გულზე ბინდი.  
გამახარებ, მამავ, დიდად,  
ვიცი, ჩემზე გული გეწვის,—  
მე ყარყუმის ქურქი მინდა,  
თოვლისფერი თეთრი ბეწვის.  
ის მომარჩენს, ის განმკურნავს,  
ჩამიდგება თვალში შუქი,  
ნუ მომაკლებ ასულს ზრუნვას,  
მსურს ყარყუმის თეთრი ქურქი.  
გაუკვირდა მეფეს ძლიერ  
თვალთმაქცობა მისი ქალის,  
მორტყმულსა და სვებედნიერს  
აუცრემლდა ორთავ თვალი.  
— ცბიერებას მივხვდი შენსას  
მაწყენინე შვილო მეტად,  
მაგრამ მაინც, ვფიცავ მზესა,  
მოგაცილებ დარდს და სევდას.  
მხოლოდ მითხარ, სად მოვძებნო  
თეთრი ბეწვი საოცნებო?  
მაგრამ ქალმა უბასუბა:  
— მამავ, მაგას რატომ სწუხარ.  
ის ვინც მთაში დასდევს არჩევებს,  
ის, ვინც ცოცხლად იჭერს ირემს,  
უსათუოდ გადამარჩენს—  
ყარყუმზედაც ინადირებს...

2.

რალა ექნა ახლა მამას,  
დარდი როგორ დაემა.  
თუმცა გულში ჰქონდა წყენა,  
მაინც ველარ მოისვენა.  
მარეკები იხმო ძველი,  
საგანგებოდ დარჩეული.





გამორეკეს ჯორი, ცხენი,  
ბარე ორი ათეული.  
ზედ აჰკიდეს აბჯრეული,  
გაემართნენ სანადიროდ,  
თან წაიღეს სანოვაგე  
სალხენად და სანადიმოდ.  
გადიარეს იალალი,  
შამბის ქალაც გადათელეს,  
ყოვლისშემძლე იარაღით  
შეესივნენ მინდორ ველებს.  
ცხრა მთას იქით, სადაც ორბის  
და არწივის მოჩანს ბუდე,  
სადაც კლდიდან წყარო მორბის

და ქალებში მიბუტბუტებს,  
ქარავანი შედგა წუთით  
დათოვლილი მთების კართან,  
მარეკების მთელი გუნდი  
თეთრ ყარყუმებს ჩაუსაფრდა.  
მეძებრების ყეფა ისმის,  
ზეცას სწვდება თოფის კვამლი,  
ყარყუმების თბილი სისხლის  
ბალახებზე დარჩა კვალი.  
მოჰკლეს დათვი, მოჰკლეს მელა,  
ყოველ მხრიდან დაჰკრეს ბუკი,  
გაუბრწყინდა სახე ყველას,  
დაიჭირეს ცოცხლად ნუკრი.  
გამარჯვებამ აამღერა  
უთვალავი მზეჭაბუკი.  
და ყარყუმის ნაზი ბეწვიც  
ხურჯინებში ჩადის ფრთხილად  
ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადასერეს,  
შინ დაბრუნდნენ მეცხბრე დილას.

დაეცხრილა საფანტს წვრილად  
ტყავი, უცხო სანახავი.  
დაეკარგა ასულს ფერი,  
ჩაუვარდა მსახურს ენა,  
და ვეზირმა ყველაფერი  
მეფეს სწრაფად მოახსენა.  
გაკაპასდა მეფის ქალი,  
დაიბოკა სახე ხელით,  
თავგასულმა ტანზე ძალით  
დაიხია ტანსაცმელი.  
მეფემ მსახურს უთხრა მაშინ:  
— ჩემი ქალი დამეტანჯა,  
ჩაგეყარათ ყველას წყალში  
ნადირობა, შრომა, გარჯა.  
წადით, ყარყუმს ნუ ჰკრავთ ტყვიას,  
რომ არ წახდეს ბეწვი მისი,  
წადით, თუ კი შეგიძლიათ,  
თუ გსურთ გახდეთ ქების ღირსი.

\* \* \*



\* \* \*  
ძოუყვანეს ნუკრი შვლისა,  
შემოხვია ქალმა ხელი,  
სულ პატარას, ერთი თვისას  
დაუკოცნა ნაზი ყელი.  
ყარყუმების ბეწვს რომ შეხვდა,  
შემოენთო ცეცხლის ალი,  
ყველაფერზე უფრო მეტად  
უცხო ბეწვზე დარჩა თვალი.  
ბრძანა:—სწრაფად იხმეთ თერძი,  
სურვილია ჩემი მამის,  
ყარყუმების თეთრი ბეწვის  
შემიკერეთ მოსასხამი.

მოიწყინა დილით ყველამ  
შეიშალოს თერძი ლამის,  
ვერ იქნა და ვერ შეკერა  
სანეტარო მოსასხამი.  
მონადირის ტყვიის წვიმას  
წაეხდინა ნაზი ტყავი,

გაუტეის ქარზე სწრაფად,  
განა მუხლი დაასვენეს.  
სადაც ჩქერი მიჰქრის ლალად,  
მწვერვალები გადასერეს.  
ნახეს ჯოგი ყარყუმების,  
გამოუდგნენ სდიეს, სდიეს.  
კლდეზე ჰქროდნენ ბანდულებით,  
მაგრამ ვერსად მიიმწყვდიეს.  
მოახსენეს მეფეს რილით:  
— გინდა ლხინიც დავგიძვირე!  
მოვიარეთ მთები დიდი,  
ვერაფერი დავიჭირეთ...  
მაშინ აღდა მეფე თვითონ,  
თვით ისურვა წაბრძანება.  
შეარჩია თითო-თითოდ  
გამყოლები, ვინც ენება.  
გაიყოლა გვერდით თანა  
ბერი პაპა გამოცდილი.  
გზაზე აღარ დაახანა,  
მიდიოდა კმაყოფილი.



ყარყუმები დაინახეს  
 მოპტენოდნენ თეთრად ჭალას.  
 შემოარტყეს ირგვლივ მახე,  
 შემოერთყენ ირგვლივ რკალად.  
 და სთქვა პაპამ სიტყვა კდემით:  
 „— არას ვამბობ, მეფევე კვებით,  
 დაიჯერე რჩევა ჩემი,  
 სჯობიაო ღონეს ხერხი:  
 გამოვრეკოთ ჭაობისკენ,  
 მერე უკან მიგყვეთ ფეხით,  
 და შევიპყრობთ ყველას ხელით,  
 მოგვარდება საქმე ძნელი“.

\* \* \*

გამორეკეს ბალახებში  
 გასრილდნენ ელვის დარად.  
 ხმა დაირხა ქარაფებში,  
 გაჰყვიროდნენ: „ჩქარა! ჩქარა!“  
 მარეკები მიჰყენენ უკან  
 და გარბოდნენ ყარყუმები  
 მთელი ღამე ერთად, გუნდად  
 მთების ძირას ნაბუდეები.  
 გადუქროლეს ჭალებს თეთრად  
 და ჭაობს რომ შეეფეთნენ,  
 არ გადადგეს ფეხი მეტად,  
 ტალახის წინ ისე შეკრთნენ.  
 არ იკადრეს შავ ტალახში  
 დაეთხუპნათ ნაზი ტყავი,  
 უმწიკვლოდ და უყოყმანოდ  
 დაილუპა ყველამ თავი.  
 გაეხარდათ. მეფე თვითონ



დაფაცურდა საკვირველად;  
 ყარყუმები თითო-თითოდ  
 დაიჭირეს ხელით ყველა.

3.

ნახეს დიდი მუხის ჩრდილი,  
 დანაყრდნენ და დაისვენეს.  
 საუბარი ჰქონდათ ტკბილი,  
 რაღა აღარ გაიხსენეს.  
 სიმღერებიც ბევრი სჰქექეს,  
 ტკბილი მრავალგამიერიც,  
 და უკვირდა მეტად მეფეს  
 ყარყუმების საქციელი.  
 მოხუც პაპას უთხრა გვიან:  
 — თუ კაცი ხარ, ამიხსენი,  
 ვერაფერი გამიგია,  
 ვფიქრობ, უფრო დავიბენი.  
 როგორ მოხდა,—ყარყუმები  
 დავიჭირეთ ასე მშვიდად,  
 არ დაგვჭირდა სახუნდრები,  
 არც თუ ისე გაგვიჭირდა!  
 — მოგახსენებ ყველაფერსა,—  
 ჰკადრა პაპამ დადინჯებით,—  
 შენ ჰპატრონობ ჩვენსა ერსა,  
 შენთვის რად არ გავიჯებით!  
 ყოველ სულდგმულს აქვს თავისი  
 ზნე—ბუნების ბოძებული...  
 კაცთ სიკეთის მოგვცა სხივი,—  
 სულის განძად წოდებულ!  
 და ბუნებამ ნათელ სვეტად  
 ყარყუმს ასე დაუწესა:  
 სიცოცხლეში თავზე მეტად  
 გაუფრთხილდეს თეთრსა ბეწვსა.  
 ნახეთ, როგორ გაგვიბოდნენ,  
 ვიდრე ფეხქვეშ გრძნობდნენ ბალახს.  
 მერე როგორ უცებ მოტყდნენ,  
 რომ წააწყდნენ შავსა ტალახს,  
 სქელ წუმბეში არ გასტოპეს,  
 თუმც გასწირეს ამით თავი,  
 თუმც დღე გახდა მათთვის მოკლე,  
 უიღბლო და მეტად ავი.  
 ამ პატარა ფაქიზ მხეცთაც,  
 ურჩვენიათ, ალბათ, მშვიდად  
 დაჰმორჩილდნენ ზოგჯერ მტერთაც,  
 ოღონდ ტყავი ჰქონდეთ წმინდა.

მოსიმინა, მოიწონა,  
 მეფემ პაპის ნაუბარი.  
 მერე შეიღის მოიგონა  
 ზნე და ქცევა საწუნარი.  
 მოახსენა მოხუცს მადლი,  
 მოითხოვა ცხენი ჩქარი,  
 ნახვა სურდა თავის ქალის,  
 მიფრინავდა როგორც ქარი...



\* \* \*

მეფე ტახტზე იჯდა დილით  
 დარდით სახედალვრემილი,  
 უძილობით ფერმიხდილი,  
 დაღლილი და დაღეწილი.  
 უხმო თავის პირმშო ქალსა,  
 სიტყვა ჰქონდა სანუკველი,  
 შეჭირვებულს და გამწყარალს  
 არად უჩნდა საჭურჭლენი,  
 უთხრა:—შენი ორგულობით  
 სიცრუით და ცუდი ზნითა.  
 მომდებია თვალზე ობი,  
 ჯაგრითა და გულის წვითა.  
 თუ ნაოელი არ გაქვს სული,  
 არ აფასებ სიწმინდესა,  
 თუ არა გაქვს ნიჭი სრული,  
 არ გრძნობ აზრის სიმძიმესა,—  
 რა ფასი აქვს მაშინ განძსა,  
 ან თვით მთელსა სამეფოსა?  
 ვერ გაივლი გრძელსა გზასა,  
 ვერ გასცურავ გაღმით ფონსა.  
 რა ფასი აქვს ან შენს ტანზე—  
 თუნდაც უცხო მოსასხამსა?  
 დაგვადინე ცრემლი თვალზე,  
 გვაწვეთებდი გულში შხამსა.  
 წადი, მოხუც პაპას ჰკითხე  
 ამ პატარა მხეცთა ზნენი,  
 მისი სიტყვა თვალს აგვიხლოს.  
 სხვა ნუ გინდა საჭურჭლენი.







მეცხრამეტე საუკუნის ფრანგულ მწერლობაში აღფონს დოდეს საპატოხადგილი უჭირავს. მის მდიდარ მემკვიდრეობაში მრავალმხრივად აისახა ფრანგი ხალხის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება. დოდეს ცნობილი ნაწარმოებებია: „კაცუნა“, „მედროშე“, „უკვდავნი“, „ტარტარენ ტარასკონელის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“ და სხვ.



ალფონს დოდე

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

# „მშვენიერი ნევინეზა“

ლამდებოდა. ერთი მეორის მიყოლებით აინფინს ლამპიონები. მათი ანარქული დუქნების ვიტრინებში აციმციმდა. ცივი ნისლი იდგა.

გამგლეღები ჩქარობდნენ.

თბილ დარბაზში დახლს მიყრდნობილი ძველი მეზღვაური ძია ლუფო ვიღვტელ მუწისკვილესთან ერთად ღვინოს სვამდა.

მის პატროსან სახეზე ღიმილი გაშლილიყო.

— შევთანხმდით, დიუბაკ, ყიდულობთ ჩემს შეშას, როგორც მოვრიგდით.

— თანახმა ვარ!

— თქვენი სადღეგრძელო იყოს!

— თქვენი!

უკანასკნელი ჭიკა გადაჭკრეს, უკანასკნელად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და დაშორდნენ:

— ხვალაზდე!

— იმედი გქონდეთ!

გაზარებული მეზღვაური ხენის ნაპირს გაშჷვა. მიდიოდა მსუბუქად, თითქოს მოწაფე ყოფილიყოს და ჯიბეში კარგი ნიშანი სდებოდა.

რას იტყვის ახლა მისი გონიერი ცოლი, როცა გაიგებს, რომ შეშა ასე ჩქარა და ასე კარგ ფასში გაყიდა? კიდევ ერთი ან ორი ასეთი საქმე და—ახალი გემის ყიდვა შეეძლება. „მშვენიერი ნევინეზა“ უკვე ის აღარ არის, რაც იყო. არა, ეს საყვედური არაა, ერთ დროს ისიც იყო ახალი და კარგი გემი, მაგრამ რას იზამ, ყველაფერი ძველდება და ბერდება, აი, როგორც თვითონ ძია ლუფო...

ეს კარგი, მაგრამ რა ხდება, აი, იმ მხარეს? დედაკაცები გროვდებიან ერთი კარის წინ, უჭელა ჩერდება, ლაპარაკობს, პოლიციელი ფეხზე დგას და რალაცას იწერს უშის წიგნაკში.

მეზღვაურმა ხხებთან ერთად გადაჭრა ქუჩა.

რა ამბავია? ძალია გაჭულტილი, თუ ცტლი მოედო რამეს? ან იქნებ მოვრალი ჩავარდა წყალში...

არა! თმაბურძენული ბავშვი, კანფეტებით ლოყბგამობერილი, ხის სკამზე იჯდა და მუშტებით თვალებს ისრებსდა. იგი ტიროდა. ცრემლებს მის ჭუჭყიან სახეზე უცნაური ნახაზები დაეხაზა.

— რა გქვია?—ეკითხება პოლიციელი პატარას.

— ტოტო.

— ვიქტორი. გვარი?

პასუხი არ იყო.

მერე უცებ აყვირდა:—დედა, დედა!—და ტირილს უშმატა.

შეჯგუფულ ხალხს ერთი ქალი გამოეყუ და პოლიციელს უთხრა:

— მიიშვით!

ბავშვის წინ დაიხოქა, მოეფერა, ცრემლები მოსწმინდა. ჭუჭყიან ლოყაზე აკოცა.

— რა შქვია დედაშენს, საყვარელო?

ბავშვმა არ იცოდა.

პოლიციელმა შეკარეს მიმართა:

— თქვენ უნდა იცნობდეთ ამ ბავშვს.

არაფინ არაფერი იცოდა. საწუალი ბავშვი ნაშუადღევიდან აქ

დახლს მიყრდნობილი ძია ლუფო მუწისკვილესთან ერთად ღვინოს სვამდა.



იყო. უბედურს ყველაფრისა ეშინოდა; ძაღლის, რომელიც მის გარშემო დადიოდა, ღამის, რომელიც ახლოვდებოდა, უცნობების, რომლებიც ელაპარაკებოდნენ. მომაკვდავი ჩიტივით, პატარა გული საშინლად უცემდა.

გარშემო ხალხი მატულობდა, პოლიციელმა მოჰკიდა ხელი და უბანში წაყვანა დაუპირა.

— მაშ, პატრონი არავინ გამოცხადდა?

— ერთი წუთით!— მოისმა უცებ.

ხალხი შებრუნდა. ყველამ დაინახა ფართო, მომღიმარე სახე.

— ერთი წუთით! თუ არავის უნდა ეს ბავშვი, მე წაიყვან.

ხალხი ახმაურდა.

— კარგი საქმეა, რასაც თქვენ აკეთებთ!

— თქვენ პათოსანი კაცი ყოფილხართ!

ძია ლუვო შუა წრეში დადგა, გულზე ხელდაკრეფილი, და თქვა:

— რა მოხდა! ეს სულ უბრალო რამ არის!

ზოგი დაინტერესებულთაგანი კომისართანაც გაჰყვა. იქ, როგორც მიღებული იყო, დაკითხეს:

— თქვენი სახელი?

— ფრანსუა ლუვო, ბატონო კომისარო!

— პროფესია?

— მეზღვაური, ბატონო კომისარო, „მშვენიერი ნივერნუას“ პატრონი.

— რას გამოიყვანთ ამ ბავშვისაგან?— ჰკითხა კომისარმა.

— რასაკვირველია, კარგ, მარჯვე მეზღვაურს.

— ბავშვები გყავთ?

— ამ ბავშვიანად ოთხნი იქნებოან, მაგრამ ეგ არაფერია.. სადაც სამისთვის არის საქმელი, იქ ოთხისთვისაც მოიძებნება, თუ სარტყელს ცოტა მოუჭერ და მეტს იმუშავებ...

წინ დიდი წიგნი დაუდეს. ძია ლუვომ წერა არ იცოდა და ჯვარი დასვა ფურცლის ბოლოში. შემდეგ კომისარმა ჩააბარა ნაპოვნი ბავშვი:

— ფრანსუა ლუვო, წაიყვანეთ პატარა და კარგად გაზარდეთ. თქვენ კარგი შთაბეჭდილება დატოვებ ჩემზე და მე მჯერა თქვენი. მშვიდდებით, ოღონდ ღვინოს ნუ ეძალებით.

როცა ბავშვთან ერთად მარტო აღმოჩნდა ქუჩაში, ძია ლუვოს აღფრთოვანებამ იკლო. ახლა ის უკვე წინასწარ გრძობდა ცოლის რისხვას, ძნელი განაბედი იყო უცხო ბავშვით შინ მისვლა. აღარც კომისართან შებრუნება შეიძლებოდა.

რა ქნას, რა მოიმოქმედოს?

მიაბიჯებდა ნისლში ლუვო, ხელებს იქნევდა, ხმამალა ლაპარაკობდა, ამზადებდა სათქმელს.

ვიქტორი ძლივს მიათრევდა ფეხსაცმელებს ტალახში, ღონე გამოელა. მაშინ ძია ლუვომ ხელში აიყვანა, კისერზე დაისვა, თავისი ქურთუკი შემოახვია და გზა განაგრძო.

თუ დედა ლუვომ კარში გააგდო, კიდეც არის დრო ბავშვი კომისართან დააბრუნოს, მაგრამ შეიძლება ერთი ღამე მაინც დატოვოს სახლში.

ბოლოს მივიდნენ აუსტერლიცის ხიდთან, სადაც „მშვენიერი ნივერნუა“ ბაგირით იყო დაბმული.

რა ბნელი ღამე იყო!

ერთი პატარა ლამაზა გამოკოთოდა „მშვენიერი ნივერნუას“ კაბინიდან.

ისმოდა დედა ლუვოს ხმა, ის სადილს ამზადებდა და თან ბავშვებს უჯავრდებოდა.

უკან დახევის დრო არ იყო და მეზღვაურმა კარი შეაღო.

დედა ლუვო ღუმელთან იდგა, იცნო ქმრის ფეხის ხმა და მოუბრუნებლად თქვა:

— შენა ხარ, ფრანსუა? რად დაიგვიანე?! ფრანსუამ ბავშვი იატაკზე დასვა. პატარამ გაიღიმა და ტკბილი ხმით თქვა:

— თბილა...

დედა ლუვო მობრუნდა, ქმარს ბავშვზე მიუთითა და უყვირა: — ეს კიდეც რა არის?! — სიურპრიზი! ჰე! ჰე! სიურპრიზი!— გამხედაობის მოხამატებლად ძია ლუვო იცინოდა.

რაკი ცოლი მრისხანე თვალებით უყურებდა და პასუხს ელოდებოდა, იგი მოჰყვა რაც მოხდა: როგორ იპოვნა მშობლების მიერ მითოვებული და ატირებული ბავშვი.

მერე, როდესაც იკითხეს: ვის სურს ბავშვის წაყვანაო, მან უპასუხა: მერე!— მაშინ კომისარმა მითხრა: წაიყვანეო. ხომ მართალია, პატარავ?

დედა ლუვომ იფეთქა:

— შენ გიჟი ხარ! გაგონილა ასეთი სისულელე?! გინდა სიღარიბეში ამოვწყდეო?! იქნება ფიქრობ—მდიდრები ვართ?! ზედმეტი პური გვაქვს?! ან ზედმეტი დასაძინებელი ადგილი?

ფრანსუა დაჰყურებდა თავის ფეხსაცმელებს და არ პასუხობდა.

— უბედურო, შეხედე შენს თავს, ჩვენც შემოგვხედე; ნავი ჩემი ქაღვირვივითაა დახვრეტილი და კიდეც თავს ირთობ ქუჩაში სხვისი ბავშვების მოგროვებით!

საწყალობა კაცმა იცოდა, ამას რომ ეტყოდნენ და არც შეეკამათა, თავი ჩადუნა.

— წაიყვან ამ ბავშვს კომისართან და ეტყვი, ცოლი წინააღმდეგია—თქო, გაიგე?

დედა ლუვო ტაფით ხელში მიიწევდა ქმრისკენ. მეზღვაური დაპირდა, რასაც ბრძანებ იმას შეგვისრულებო:

— ნუ მიჯავრდები, მეგონა კარგი საქმე გავაკეთე, მოგტყუვდი, საკმარისია?! თუ საჭიროა ახლავე წაიყვან!

ქმრის მორჩილებამ დაამშვიდა დედა ლუვო. მიბრუნდა, ტაფა ცეცხლზე დააგდო და ბუზღუნით უთხრა:

— ამალამ ეს შეუძლებელია, ბიურო დაკეტილია. ახლა, როცა წამოიყვანე, მისი ქუჩაში დატოვების ნება არა გექვს. ამაღამ



— ერთი წუთით! თუ არავის უნდა ეს ბავშვი, მე წაიყვან.





აქ დარჩეს, მაგრამ ხვალ დილით... შემომფიცე, რომ თავიდან მომაშორებ!

სიჩუმე ჩამოვარდა. დედა ლუვო უხეშად შლიდა სუფრას. დანა-ჩანგალს მაგიდაზე ხმაურით ყრიდა. უფროსი ქალიშვილი კლარა შეშინებული იდგა კუთხეში. სულ პატარები ლოგინში ბუზღუნებდნენ, ნაპოვნი ბავშვი კი აღტაცებით შეშურებდა ცეცხლს. უფრო გაიხარა, როცა კისერზე ხელახლოვი შემოახვიეს და კარტოფილით სავსე თევზის წინ მაგიდასთან დასვეს. სუფრა რომ აალაგა დედა ლუვომ, ცეცხლის პირას დაჯდა, ბავშვი მუხლებშუა ჩაიყენა და მის დაბანჯასა და დავარცხნას შეუდგა.

— ასე ჭუჭყიანს ლოგინში ვერ დავაწვენ. სანამ ლეოს ვდებ, რომ არც ღრუბელი მიშკარებია ამის თმას და არც სავარცხელი.

ბავშვი მის ხელში ბზრიალასავით ტრიალებდა... მერე, დაბანილი და დავარცხნილი საწყალი ტოტო თავისი ვარდისფერი ცხვირითა და ვაშლივით მრგვალი ლოყებით ლამაზად გამოიყურებოდა. დე-

ფრანსუამ აკანკალებული ხმით იკითხა: — წაიყვანო ბავშვი კომისართან თუ არა?

დედა ლუვო კმაყოფილებით უყურებდა მას, შემდეგ ბავშვი კლარას საწოლში ჩააწვინა. გოგონას ღრმა ძილით ეძინა და მთელი საწოლი ეჭირა. მან ბუნდოვნად იგრძნო, რომ გვერდით რაღაც ჩაუსრიალეს.

ლამა ჩააქრეს. ხენა ნელა არწევდა გემს. დაკარგულმა ბავშვმა საოცარი სითბო იგრძნო. ჩაეძინა.

\* \* \*

პატარა კლარა დილაადრიან იღვიძებდა. ის ძლიერ გაკვირვებული დარჩა, როდესაც ამ დილით დედა კაიუტაში ვერ ნახა და მის გვერდით ბალიშზე უცნობი თავი აღმოჩნდა.

მან თვალეხი პატარა მუშტებით მოისრისა, უცხო თმებში სწვდა და შეანჯღღრია.

საწყალ ტოტოს გაეღვიძა. მან განცვიფრებით მიმოიხედა... ზემოთ ფეხის ხმა და ჭრიალი ისმოდა.

გემიდან ყრუ ხმაურით სანაპიროზე შეშა გადმოჰქონდათ. შეშას აბარებდნენ ვილეთელ მეწისქვილე დიუბაქს, რომელიც დილის ექვს საათზე ფორნიანი ცხენით მოვიდა.

ძია ლუვო დილაადრიან შეუდგა შრომას. მთელი დამე არ მოუხუპავს თვალი იმის ფიქრში, რომ ბავშვი კომისართან უნდა წაიყვანა. თან ახალ შეტევას ელოდა ცოლისაგან, მაგრამ დედა ლუვო სხვა ფიქრებით იყო გარბული და ვიქტორზე სიტყვაც არ დაუძრავს.

ფრანსუა კი ცდილობდა ცოლს თვალში არ მისწვდარიყო. მალეობით მუშაობდა, თან შიშობდა, ცოლს უსაქმოდ არ ენახა და არ ეყვირა: აბა, რაკი არაფერს აკეთებ, წაიყვანე ბავშვი, საიდანაც მოგიყვანიაო. და სულ მუშაობდა. შეშის გროვა თვალდათვალ კლებულობდა.

დიუბაკმა უკვე სამი გზა გააკეთა, დედა ლუვო კი საბიჯელაზე იდგა ძმუთა ბავშვით და ძლივს ასწრებდა შეშის ღერების თვლას.

დილიდან მუშაობდა ძია ლუვო და თეთრი ღვინო არც უხსენებია.

ხოლო, როდესაც დიუბაკმა წინადადება მისცა, ღვინოს დასალევად წასულთყვენენ, ფრანსუამ გმირულად უპასუხა:

— უფრო გვიან, დრო ბევრი გვაქვს. ფრანსუა და ღვინოზე უარის თქმა?!

დედა ლუვო გაკვირვებული იყო, მას ქმარი გამოუცვალეს, კლარაც გამოუცვალეს, რადგან უკვე 11 საათმა დარეკა და პატარა, რომელიც წინათ ლოგინში არ ჩერდებოდა, მთელი დილა არ განძრეულა.

დედა ლუვომ კიბე ჩაირბინა, რომ ენახა რა ხდებოდა იქ. ფრანსუა ზემოთ დარჩა.

— ახლა კი გათავდა!— ფაფიქრა მან. ცოლს გაახსენდა ვიქტორი, ის ამოიყვანს ბავშვს და, ფრანსუა, რა თქმა უნდა, გზას უნდა გაუდგეს კომისართან...

მაგრამ არა, დედა ლუვო მართლ გამოჩნდა, ის იცინის და ეძახის:

— მოდი, ნახე, რა სასაცილო სანახავია!

ლუვო სიხარულის მიზეზს ვერ მიუხვდა და მორჩილად უკან გაშეშა.

ორი პერანგისამარა, ფეხშიშველა ბავშვი ლოგინის კიდეზე ჩამოიჯდარიყო. წინ ფინჯანი ედგათ. რაკი ორივეს ერთი კოვზი ჰქონდათ, რიგრიგობით ჭამდნენ და კლარა, რომელიც ჭამის დროს ყოველთვის მიზეზობდა, სიცილით წევდა თავის პატარა ცხვირს კოვზისკენ.

ცოტა პურის ნამცეცები ჰქონდათ თვალეხზე და ყურებზე, მაგრამ არაფერი გაუტენიათ, არაფერი გადაუბრუნებიათ და ეს ორი პატარა ისე გულთანად შეეჭყეოდა, რომ შეუძლებელი იყო გაჯავრება.

დედა ლუვო სულ იცინოდა.

— რაკი ასე კარგად შეეჭყევიან, შეგვიძლია თავი დავანებოთ. ფრანსუა ჩქარა მიუბრუნდა თავის სამუშაოს.

მართლაც, კლარას გასართობად პატარა ტოტო ყველაფერს აკეთებდა.

დედა ლუვო შორიდან უყურებდა და ფიქრობდა, რომ ეს კარგი პატარა ბავშვი ხელსაყრელი იყო მისთვის.

შეიძლებოდა მისი დატოვება, სანამ დაამთავრებდნენ შეშის ჩაბარებას, კომისართან წაყვანა კი შემდეგაც მოესწრებოდა. ამიტომ საღამოს არაფერი უთქვამს ბავშვის წაყვანაზე. გუშინდელივით დააპურა კარტოფილით და დააწვინა.

„მშვენიერი ნივერნესის“ განტვირთვა სამი დღე გაგრძელდა.

ბოლოს უკანასკნელი ფორანი დატვირთეს და გემი დაცარიელდა.

წასვლის წინ ფრანსუამ აკანკალებული ხმით იკითხა:

— წაიყვანო ბავშვი კომისართან, თუ არა? დედა ლუვომ არ უპასუხა, იგი თითქმის მიზეზს ეძებდა ვიქტორის დასატოვებლად.

რაც შეეხება კლარას, — იტაკე გორავდა ცრემლებით სულშეხუთული — მეგობარს ნუ დამაშორებთო,

გონიერმა ქალმა დინჯად თქვა:

— ჩემო საწყალო ქმარო, შენ სისულელე გააკეთე, როგორც ყოველთვის. ახლა კი უნდა დაისაჯო. ბავშვი გვეჩვევა. კლარას უყვარს იგი და მისი წახვლა გულს დაწყვეტს. ვეცდები შევიხანო. ოღონდ ყველანი უნდა დამეხმაროთ. პირველივე შემთხვევაში, რე-



ვარც კი კლარა დაიწყო ქირვეულობას, ან შენ დათვრები, ბავშვს კომისართან წაიყვან.

ძია ლუვო გახარებული იყო.  
— მაშ, გადაწყდა! მეტს აღარ დავლევ!  
ის იცინოდა და მღეროდა გემბანზე. „მშვენიერი ნივერნეა“ სხვა გემბთან ერთად კარჭავს მიყავდა ბაგირით.

ვიქტორი მგზავრობდა მორვანის ტყეებისაკენ. 12 დღის შემდეგ „მშვენიერი ნივერნეა“ აუყვა მდინარეს და ქალაქ კორბინის ხილს მიაღწა. იქ ბაგირით მიაკრეს, რათა ზამთრის ძილით მშვიდად დაეხვეწა.

დეკემბრიდან თებერვლის ბოლომდე მუშავებდნენ არ დაცურავენ, გემს შეაკეთებენ ხოლმე და გაზაფხულზე მოსაქრელი ხეების შესასყიდად ტყეში დადიან.

ნაპოვნი ბავშვს ცხოვრება როგორ შეეცვალა!  
დედა ლუვო, მართალია, სულ ამბობდა, რომ კომისართან წაიყვანდა, მაგრამ თვითონაც შეეჩვია ბავშვს.

როდესაც ვიქტორს ხუთი წელი შეუბრუნდა, კლარასთან ერთად სკოლაში წაიყვანეს.

კალათა და წიგნები მუდამ ვიქტორს მიჰქონდა.  
კარგად სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში მხოლოდ ზამთრობით დადიოდა, მან მეტი იცოდა, ვიდრე დანარჩენმა მოწაფეებმა.

ვიქტორსა და კლარას სკოლიდან გზად ტყე უნდა გაეცვლოთ.  
ბავშვები ტყისმპყრელთა მუშაობის ცქერით ერთობოდნენ. რაკი ვიქტორი მარჯვე იყო, მას ხშირად ავადებდნენ, — ბაწრის მისამარებად ფიჭვებზე ასულიყო. რაც მაღლა იწევდა, სულ პატარა მოჩანდა და კლარაც ძლიერ შიშობდა.

ვიქტორი კი განგებ ქანობდა, და აღიზიანებდა.

\* \* \*

ვიქტორს უკვე 15 წელი უბრუნდებოდა. ის უეცრად გაიზარდა — მხარბეჭიანი, ჯანსაღი ბიჭი დადგა, იგი ახლა ძველი მუშავა-ურიგით იცნობდა გზას მდინარეზე.

როდესაც ძია ლუვო საჭეს უტოვებდა, კლარა, რომელიც უკვე დიდი გოგო იყო, მის გვერდით ჯდებოდა და ქსოვდა.

ამ გამგზავრებაზე გზა კორბინიდან პარიზამდე ძნელი გამოდგა.

შემოდგომის წვიმებით ადიდებული სენა გემბანს სწვდებოდა. უმთვარო ღამეების გამო მიხვეულ-მოხვეული გზებით მოხიარულებებს შეშის დროზე ჩაბარების იმედი დაკარგვოდათ.

ყველა გვიანობამდე მუშაობდა სანაპიროს ლამპიონებისა და ფარნების სინათლეზე.

თერთმეტ საათზე ვემი ტვირთით ნავსადგურში იყო.

რაკი მეწისქვილე დიუბაკის ფორანი არ მოვიდა, ყველა დაწვეს იყო საშინელი ღამე. არავის ეძინა გემის გაუთავებელი რყევისაგან.

ძია ლუვო, მისი ცოლი და ვიქტორი გათენებისას ადგნენ, ბავშვები ლოგინში დატოვეს.

სენა ღამის განმავლობაში უფრო ადიდებულიყო.

სანაპიროზე ადამიანის ბაიბურთი არ ისმოდა.

მდინარეზე — არც ერთი ნავი!

ყოველი წუთი ძვირფასი იყო.

ფრანსუა, დედა ლუვო და დიუბაკი, მუხლამდე წყალში იდგნენ და ფორანს ტვირთავდნენ.

უეცრად საშინელმა ხმაურმა შეაშინა ისინი: „მშვენიერი ნივერნეა“ ნაპირს მოსწყდა!

დედა ლუვომ იყვირა;

— ბავშვები!

ვიქტორი შევარდა კაიუტაში.

ის ისევ გამოჩნდა გემბანზე ბავშვით ხელში. კლარა და მისი პატარა და უკან მოყვებოდნენ, ყველა ნაპირისკენ იწვდიდა ხელებს.

— უშველეთ!

— ნავი!  
— თოკი!  
რა ექნათ? შეუძლებელი იყო ცურვით ყველას გადაჩენა.  
„მშვენიერი ნივერნეა“ უკვე შორს იყო ნაპირიდან. ვიქტორი საჭისკენ გაიქცა და ყველამ გაიგონა მისი ხმა:

— ნუ გეშინათ!

მართლაც, ძელის დახმარებით მან გაასწორა გემი, რომელიც დინებას მიყვებოდა.

ნაპირზე ლუვო ჰკუას კარგავდა. მას წყალში უნდოდა გადახტომა, რათა დაწოდა ბავშვებს, მაგრამ დიუბაკმა ხელი მოხვია; დედა ლუვო კი სახეზე ხელებს იფარებდა.

ახლა კი „მშვენიერი ნივერნეა“ აუსტრალიის ხიდისკენ მიექანებოდა.

ძელზე დაყრდნობილი ვიქტორი დინჯად მართავდა გემს და ამედებდა ბავშვებს. ის დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, რადგან გემს პირდაპირ მიმართავდა წითელი დროშისკენ, რომელიც ხიდის მალე ეკიდა მუშავებულებისათვის გზის საჩვენებლად.

ხიდი სწრაფად ახლოვდებოდა.

— კლარა, ბავშვებს ხელი არ გაუშვა!  
ის ეკიდებოდა საჭეს.

„მშვენიერი ნივერნეა“ უკვე ხიდეკვშ იყო. შემდეგ თითქოს შორიონტი გაფართოვდა და ვაშის ძახილი გაიხმა მის თავზე.

გემი უეცრად გაჩერდა

ხიდის მეთვალყურეებმა მოახერხეს კავის ტყორცნა.

ვიქტორი დუშისკენ გაიქცა და ბაგირი შეიდროდ შემოახვია.

ყველა ხედავდა „მშვენიერმა ნივერნეამ“ როგორ შეეცვალა მიმართულება და როგორ წელა მიადგა თავისი ბავშვებისაგან შემდგარი ეკიპაჟითა და თხუთმეტი წლის კაპიტნით ტურნელის ხანაპირის.

ო! რა სიხარული იყო იმ ხალხის, როდესაც მთელი ოჯახის შემადგენლობით უხსდნენ ცხელ ყაურმას, კარგად დამაგრებული და დუზაჩაშვებული გემის კაიუტაში.

პატარა გემი საპატო ალაგას — კაპიტნის ხკამზე იჯდა.


კამის მალა არავის ჰქონდა დილანდელი მღელვარების შემდეგ; სამაგიეროდ ყველა კარგ გუნებაზე იყო.

ერთმანეთს აღმაცერად უყურებდნენ, თითქოს უნდოდათ ეთქვათ:

— როგორი იქნებოდა, კომისართან უკან რომ წაგვეყვანა? ძია ლუვო გულიანად იცინოდა და ბავშვებს შეშლიყო.

ფრანგულიდან თარგმნა

კლ. ჯაშმა







## მუხლზე დაჩოქილი განათლება

დასავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მომავალი თაობის აღზრდა-განვითარება ამ ახალგაზრდა მასწავლებელივითაა მუხლზე დაჩოქილი. ეს სურათი შონბრუნერის სკოლაშია გადაღებული. და განა მარტო ბავარიის ამ სოფელშია ასეთი მდგომარეობა. საერთოდ დასავლეთ გერმანიას 62000 საკლასო ოთახი აკლია.

ბუნდესტაგმა უარი თქვა 300 მილიონი მარკის გაცემაზე, რომელიც

სკოლების შეკეთებას ესაჭიროებოდა, და ეს მაშინ, როცა სახელმწიფო სალაროდან ყოველწლიურად ატომური შეიარაღებისათვის 11 მილიარდი მარკა იხარჯება.

სასკოლო შენობების სიმცირემ, უგულო მასწავლებელთა სიმრავლემ ძალზე დასცა განათლების დონე დასავლეთ გერმანიაში. აი, რას წერს ამის შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერი, 13 წლის ირინა ლინკი ზალცვიტერის (დასავლეთ გერმანია) სკოლის შესახებ, რომელიც მან ზამთრის არდადეგების დროს იხაზულა:

„არდადეგებზე ჩემს დეიდას ვესტუმრე ზალცვიტერში. ჩემი დეიდა-შვილი მე-ნ კლასში სწავლობს. ერთ დღეს მას სკოლაში წავეყვი და მეცადინეობას დავესწარი. პირველი გაკვეთილი სიმღერისა იყო. მასწავლებელი მეტად მკაცრი ჩანდა. როცა ერთმა მოსწავლემ სწორად ვერ იმღერა, სილა გააწნა. მართალი ვითხრათ, შევშინდი და მაშინვე გავიფიქრე,—კიდევ კარგი, რომ ჩვენთან ასეთი მასწავლებლები არ არიან-მეთქი. მეორე გაკვეთილი „საღვთო სჯული“ იყო. გაკვეთილის დასაწყისში ყველამ ილოცა ჩემს გარდა. ბავშვებს ძალიან გაუჭვირდათ, როცა ვთქვი, რომ ჩვენ ამ საგანს არ ვსწავლობთ. მერე მათ ვუამბე ჩვენს მეცადინეობაზე, პიონერულ მუშაობაზე და იმაზე, თუ როგორ საინტერესოდ და კარგად ვერთობით თავისუფალ დროს. ბევრს სჯეროდა ჩემი, მაგრამ იმასაც ვატყობდი, რომ ბევრი ექვის თვალით მიცქერდა.

შინ რომ ვბრუნდებოდი, გზაზე რამდენიმე ბავშვი ამედევნა: „ჩვენ გვეგონა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შიმშილობდნენ,—მათხრეს მათ,—თუ ყველაფერი, რაც შენ გვიაბზე, სიმართლეა, მაშინ ჩვენ ძალიან გვინდა ვცხოვრობდეთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

\*\*\*



ბილისის 71-ე სკოლაში უჩვეულო ფუს-ფუსი იდგა. ზედახორად ეყარა ძველი ტაშტები, ქვაბები და ვედროები, უანგმორეული ძველი ძრავები და კიდევ ვინ იცის რა.

არ იფიქროთ, ამ ეზოს მოსწავლეები ეზოს არ უვლიან. არა პირიქით. მათ ჯერ კიდევ გაზაფხულზე კარგად გაასუფთავეს ეზო და ყვავილნარიც გააშენეს, მაგრამ რას იზამთ, ახლა საქმე ჯართის შეგროვებას ეხება და ისინიც ხომ არ ჩამორჩებიან სხვებს. ეს ყველაფერი კი პიონერული ორწლედის მატრიანეში უნდა ჩაიწეროს.

მოსწავლეთა პატარა ბრიგადები ეზო-მიდამოებს მოედგნენ, მოინახულეს ყველა კუთხე, სადაც კი ლითონის ნარჩენები ეგულებოდათ, „დალაშქრეს“ გარაუები, საწარმოთა ეზოები, სარდაფები და სკოლის ეზოში ჯართის დიდი გორა დადგეს.

ჯართის შეგროვებაში თავი ისახელეს ლუიზა ნიკოლაიშვილმა, დალი მეიშვილმა, ეთერ მგალობლიშვილმა და სხვებმა.



ყიბულის მეორე საშ. სკოლის ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის რაზმიეული აქტიურად ჩაება პიონერულ ორწლედში. გადაწყვეტილება—2 წლის მანძილზე შეაგროვონ 50 ტონა ჯართი—თანდათან სრულდება. გარდა ამისა, პიონერებმა მონაწილეობა, მიიღეს ახალი



# მოსწავლეთა თეატრი ლაიმბახში



„ბავშვობისას, როცა ანდერსენის შესანიშნავ ზღაპარს „მელორეს“ ვკითხულობდი, — იგონებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალ „ფრაუ ფონ ჰოიტეს“ ერთ-ერთი კორესპონდენტი მარიანა იანი, — ძალიან ვჯავრობდი მეტიჩარა მეფის ასულზე, რომელიც მეტად უდიერად, ქედმაღლურად ეპყრობოდა მელორეს და ძალიან მიხაროდა, როცა მელორე ჭკუას ასწავლიდა ხოლმე მას. შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა, მელორესა და მეფის ასულს კვლავ შევხვდი ლაიმბახის საშუალო სკოლაში, სადაც პიონერ-მოსწავლეებმა შექმნეს საკუთარი თეატრი და სცენაზე ანდერსენის გმირები აამეტყველეს. ბავშვთა თეატრი ნამდვილი, დიდი თეატრისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ აქ ყველაფერს პიონერ-მოსწავლეები აკეთებენ. რეჟისორები, მსახიობები, გრიმიორები, მოკარნახეები და სცენის მუშებიც კი მოსწავლეები არიან“.

ლაიმბახის სკოლის თეატრს 1953 წელს ჩაეყარა საფუძველი. მისი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი — ბავშვების საყვარელი მასწავლებელი კრებს იყო. მან ანდერსენის პატარა ზღაპრების ინსცენირებით დაიწყო და ბავშვებს თეატრალური ხელოვნების სიყვარული გაუღვივა.

ყოველ ახალ საქმეს თან თავისი სინდლეებიც სდევს ხოლმე, და პატარებსაც გაუჭირდათ პირველ ხანებში. არ ჰქონდათ დეკორაციები, ტექნიკურად ძალზე მოუწყობელი იყო ახალშობილი თეატრი. ენთუზიასტ ბავშვებს დიდი დახმარება გაუწია მაინინგერის თეატრის მსახიობმა ჰოდენკამპმა, და ახლა სკოლას მშვენივრად მოწყობილი საბავშვო თეატრი აქვს. სკოლის 250 მოსწავლიდან 100 ჩაბმულია ამ შესანიშნავ საქმიანობაში; ზოგი გუნდშია, ზოგი დასის წევრია; ზოგი კიდევ სცენის მუშის მოვალეობას ასრულებს.

ლაიმბახელ მოსწავლეთა თეატრი დიდად ეხმარება პიონერ-მოსწავლეებს მშობლიური ენის დაუფლებაში, აცნობს მათ მსოფლიო და გერმანული ლიტერატურის საგანძურს, ხელს უწყობს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაში.

ლაიმბახელ მოსწავლეთა თეატრი დიდად ეხმარება პიონერ-მოსწავლეებს მშობლიური ენის დაუფლებაში, აცნობს მათ მსოფლიო და გერმანული ლიტერატურის საგანძურს, ხელს უწყობს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაში.

ლაიმბახელ მოსწავლეთა თეატრი დიდად ეხმარება პიონერ-მოსწავლეებს მშობლიური ენის დაუფლებაში, აცნობს მათ მსოფლიო და გერმანული ლიტერატურის საგანძურს, ხელს უწყობს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაში.

სკოლის მშენებლობაში, გაამრავლეს მტრედები, მოაწყვეს შეხვედრები კომუნისტური შრომის ბრიგადებთან. ახლა რაზმი იბრძვის მაღალი აკადემიური წარმატებებისათვის.



ვერი კარგი და სახარგებლო საქმის გაკეთება გადაწყვიტეს პიონერულ ორწლედში ტყვარჩელის პიონერულმა რაზმეულებმა. ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის პიონერებმა მრავალი ათეული კილოგრამი შავი და ფერადი ლითონის ჯართი შეაგროვეს, მოაწყვეს დიდი გამოფენა თემაზე „ლინინი ბავშვებთან“ და გააშენეს პიონერული ბაღი.

ქალაქის მე-2 საშ. სკოლის პიონერებმა სასკოლო სპორტული მოედნის მოწყობით ისახელეს თავი და

ახლა სპორტულ თამაშებსა და შეჯიბრებებს თავიანთი სკოლის ტერიტორიაზე ატარებენ.



ოფ. ასკანის საშ. სკოლის პიონერებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 76 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 495 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. მაგრამ ისინი მიღწეულით როდი დაკმაყოფილდნენ, მათ უფრო გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს: ორწლედის პირველ წელს სამშობლოს ჩააბარონ 80 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, 5 ტონა ლითონის ჯართი და 5 ჰექტარ ფართობზე გააშენონ ტყე.

ორწლედის ჭრობიკა





# კონგო... პატრის ლუმუმბა

კონგო! რომელ თქვენგანს არ გაუგონია ეს სახელი. დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია აფრიკაში მდებარე ამ სახელმწიფოსაკენ. ერთ-ერთ გასულ წლებში, როდესაც ჩვენ აფრიკის გამათავისუფლებელ ბრძოლებზე ვწერდით, მოვიხსენიეთ კონგოც, ბელგიის ყოფილი კოლონია, რომელიც ბელგიელ იმპერიალისტებს აგერ, 50 წელზე მეტია, ხელთუბყრიათ. თქვენ, ალბათ, გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან გახსოვთ, რომ ბელგიის ფართობი სულ რაღაც 30,5 ათასი კვ. კილომეტრია, მოსახლეობა კი რვა მილიონზე ცოტა მეტი; აი, ეს ერთი ციციქნა კაპიტალისტური სახელმწიფო ბატონობდა ქვეყანაზე, რომლის ტერიტორია 2345 ათას კვ. კილომეტრია, მოსახლეობა კი თექვსმეტ მილიონამდე. რა იზიდავდათ კაპიტალისტებს კონგოში? უპირველეს ყოვლისა, ამ ქვეყნის იშვიათი წიაღისეული: ურანისა და ალმასის უმდიდ-

რესი საბადოები, კობალტი, ოქრო, ვოლფრამი და სხვ.

1960 წლის ივნისის თვეში, დიდი ხნის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლების შედეგად კონგოს ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. არჩეულ იქნა მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი პატრის ლუმუმბა. კონგომ თუმცა მიიღო დამოუკიდებლობა, მაგრამ ბელგიელები მაინც არ ჩქარობდნენ კონგოდან წასვლას, ცდილობდნენ, გამოეყენებინათ ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც მთავრობასა და სხვადასხვა ტომებს შორის იყო. და აკი მიადწიეს კიდევაც საწადელს, ლუმუმბას დაუპირისპირეს მოსყიდული ადამიანები—მობუტუ, კასაგუბუ და ჩომბე. პატრის ლუმუმბამ გაერთიანებული ერების ასამბლეაში იჩივლა და ბელგიელთა ალაგმვა მოითხოვა. გაერთიანებული ერების ასამბლეს ვითომ დამხმარე ჯარმა,

იმის ნაცვლად, რომ გადამჭრელი ზომები მიეღო და წესრიგი აღდგინა, ფაქტიურად ხალხის გამცემლების მხარე დაიჭირა, რის გამოც პატრის ლუმუმბა და მისი ორი თანამებრძოლი კონგოს ხალხის მტრება შეიპყრეს.

13 თებერვალს ამაზრზენი ამბავი მოეფინა მთელ მსოფლიოს: ვერაგულად მოჰკლეს ლუმუმბა!

ახლა კონგოს ტერიტორიის ნახევარი კანონიერი მთავრობის ხელშია და ანტუან გიზენგას მეთაურობით განაგრძობს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

პატრის ლუმუმბას სამი შვილი დარჩა. ისინი კარგა ხანია საბავშვო ინტერნატში ცხოვრობენ ქალაქ ჭაიროში. „მამა,—სწერდა შვიდი წლის პატრისი მშობლებს—მე, ფრანსუა და ჟიულიანა ძალიან ბედნიერები ვართ, მოუთმენლად ველით დღეს, როდესაც კვლავ გნახავთ. იმედი მაქვს, რომ შენი საქმეები კარგად მიდის. როგორ ცხოვრობ, დედა როგორ არის? გეხვევი. ველი პასუხს“.

პატრისს, ფრანსუასა და ჟიულიანას პასუხი აღარ მიუღიათ. შესაძლოა, სწორედ მაშინ, როდესაც თავდახრილი პატრისი პატარა ხელით მოკითხვის ბარათს სწერდა, ლუმუმბას თავზე ჯალათის ხელი იყო აღმართული.

ლუმუმბას დაობლებულ ბავშვებს ბევრი მზრუნველი ჰყავთ, პირველ ყოვლისა კი, საბჭოთა ადამიანები და საბჭოთა ბავშვები. რედაქციებში მრავალი წერილი მოდის, სადაც ბავშვები აღშფოთებული წერენ იმპერიალისტთა ვერაგობაზე, თანაგრძნობას უცხადებენ ლუმუმბას დაობლებულ ბავშვებს.

გაუმარჯოს აფრიკას!—ასეთი სიტყვებით დაუმთავრებია პატრის ლუმუმბას უკანასკნელი წერილი, სიკვდილის წინ. გაუმარჯოს აფრიკას, გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!—მასვე იმეორებს მთელი საბჭოთა ხალხი.



მართლაცა, ვინ გამოიგონა ეს შესანიშნავი თამაში?

ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია, რადგან არასოდეს არსებულა ადამიანი, რომელსაც გამოეგონებინოს იგი. თამაში, რომელიც ახლა მთელი დედამიწის ზურგზეა მოდებული, თანდათან, საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა.

ადამიანებმა ბურთის თამაში ძალიან ადრე ისწავლეს, დაახლოებით 2 ათასი წლის წინათ.

თამაში, რასაკვირველია, დროთა განმავლობაში იცვლებოდა, იცვლებოდა მოთამაშეთა რაოდენობა, ბურთის ფორმა, მოედნის ფართობი და ასე, ფეხბურთმა თანდათანობით დღევანდელი სახე მიიღო.

ბურთის თამაში ჯერ კიდევ ძველმა ეგვიპტელებმა იცოდნენ. ნილოსის ხეობაში არქეოლოგიური გათხრების დროს ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს ნახატი, სადაც ორი ადამიანი პირისპირ დგას და ერთმანეთს ბურთს ესვრის. მართალია, ამ ნახატიდან მეცნიერებმა ვერ დაადგინეს სახელდობრ რა თამაში იყო ეს და გავდა თუ არა იგი რითიმე ფეხბურთს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ ახლა კარგად ვიცით, თუ როგორ თამაშობდნენ ბურთს ძველი ბერძნები. ხელნაწერში, რომელიც ისტორიამ შემოინახა, აღწერილია ძველი ბერძნული თამაშები ბურთით; ერთ-ერთი მათგანი ძალზე ჰგავს ფეხბურთს, მას ბერძნები «ეპოსკოროს» უწოდებდნენ. აი, როგორ თამაშობდნენ: მოთამაშენი ორ ჯგუფად გაიყოფოდნენ, შუა მოედანზე ხაზს გაავლებდნენ და მასზე ტყავის ბურთს დადებდნენ. კარებს განივი ხაზი ცვლიდა, რომელიც მოედნის ორივე ბოლოს იყო გავლებული.

ბურთის თამაში ძველ რომაელებსაც ძალზე ჰყვარებიათ. ერთ-ერთ მათგანს «სფერომახია» ერქვა. ეს თამაშიც ძალზე ჰგავდა ფეხბურთს. ბურთი გარედან ტყავისა იყო, შიგ კი საჭონლის გაბერილი ბუმბუტი იყო ჩადებული, თუ ასეთი ბუმბუტი არ ჰქონდათ, ბურთს საჭონლის ბეწვით სტენიდნენ.

# „გამოიგონა“ ფეხბურთი

„როდის და სად გამოიგონეს ფეხბურთის თამაში?“ — გვეკითხებიან თიანეთის რაიონის სოფელ სიონის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელები.

რომაელების მიერ ბრიტანეთის კუნძულების დაპყრობის შემდეგ ეს თამაში მათგან ინგლისელებმა გადაიღეს და, რომელი ჯარისკაცების მიზაძვით, დაიწყეს ბურთის ფეხით თამაში.

ფეხბურთმა ინგლისში ძალზე მალე მოიპოვა პოპულარობა. თამაშობდნენ ყველგან, განსაკუთრებით კი ქუჩებში თამაშს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი მყარი წესები და კანონები. ამიტომ ასპარეზობა ხშირად ჩხუბითა და სისხლისღვრით მთავრდებოდა.



ერთი ფრანგი მოგზაური ამის შესახებ წერს: თუ ინგლისელები ზმანს თამაშს უწოდებენ, საინტერესოა ნახოს კაცმა, როგორია მათი ჩხუბიო.

განსაკუთრებით ზარალდებოდნენ ვაჭრები, რომლებსაც სავაჭროები ქუჩებში ჰქონდათ გამოდგმული. თვითონ რომ ვერაფერს გახდნენ, მეფეს პეტიცია მიართვეს და ფეხბურთის თამაშის აკრძალვა მოითხოვეს. იმ დღიდან დაიწყო გააფთრებული ბრძოლა ფეხბურთელებსა და მეფეებს შორის. საუკუნეების მანძილზე თითქმის ყველა მეფე სპეციალური კანონით კრძალავდა ამ თამაშს. მაგრამ ფეხბურთი მაინც ცოცხლობდა. ბოლოს, ეს იყო შუა საუკუნეებში, უკვე შეუძლებელი გახდა ამ პოპულარული თამაშის ძალით შეზღუდვა, ფეხბურთელებმა საბოლოოდ სძლიეს მეფეს და მას შემდეგ ფეხბურთმა ოფიციალური აღიარება ჰპოვა.

ამის შემდეგ ფეხბურთის თამაში უკვე სკოლებში დაიწყო. ერთ-ერთი პირველთაგანი იტონის სკოლა იყო. სკოლას ქვიანი ეზო ჰქონდა. ასეთ მინდორზე წაქცევა სახიფათო იყო. ამიტომ იძულებული იყვნენ შემოეღოთ ახალი წესი — აკრძალეს ხელის კვრა და სარმა. მაგრამ მაშინ თამაშმა ინტერესი დაჰკარგა, რადგან საკმარისი იყო ვინმეს ბურთი ჩაეგდო ხელში (მაშინ ჯერ კიდევ დაშვებული იყო ბურთის ხელში აღება), — მთელი გუნდი რომ უკან დადევნებოდა, მას ხელიდან ვეღარ გამოგლეჯდნენ. ამ შესაბამისად გააჩინა კიდევ ერთი ახალი წესი — ამიერიდან ბურთის ტარება მხოლოდ ფეხით შეიძლებოდა, ბურთის ხელში აღება აღკვეთილ იქნა.

გასული საუკუნის შუა წლებში ინგლისი რკინიგზების ხშირი ქსელით დაიფარა. გაგიკვირდებათ, რა კავშირი აქვს ამას ფეხბურთთან. საქმე იმაშია, რომ რკინიგზების გაყვანამ შეუდარებლად გაადვილა მიმოსვლა. ახლა





მეზობელ ქალაქში მატრის ჩასატარებლად საჭირო აღარ იყო მომქანცავი, ხანდახან მრავალდღიანი მგზავრობა. მატარებელმა მოსწავლეებს საშუალება მისცა ხშირად ჩატარებინათ ერთმანეთთან შეხვედრები.

ბავშვები სკოლაში ისე ეჩვიოდნენ ფეხბურთს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ უკვე უძნელდებოდათ საყვარელი თამაშის დათმობა, და ასე, უკვე უფროსებმაც შექმნეს გუნდები. მათაც დაიწყეს შეჯიბრება მეზობელ ქალაქებთან.

ერთმანეთთან მისვლა-მოსვლამ და ხშირმა შეხვედრებმა თავისთავად გამოიწვია ასპარეზობის წესების დაზუსტება, რადგან ხდებოდა ხოლმე, რომ სხვადასხვა ქალაქებში ჯერ კიდევ სხვადასხვა წესებით თამაშობდნენ.

1863 წელს ლონდონში შეიკრიბნენ ინგლისის ყველა საფეხბურთო კლუბის წარმომადგენლები. დადგინდა ფეხბურთის თამაშის ძირითადი წესები და შეიქმნა «ფეხბურთის მსოფლიო ასოციაცია». იმ კლუბებმა, რომლებმაც უარყვეს ახალი წესები, თავის მხრივ ჩამოაყალიბეს მეორე საზოგადოება და დაიწყეს რეგბის თამაში. სპორტის ეს სახე ჩვენში არ განვითარებულა, ბურჟუაზიულ ქვეყ-

ნებში კი დღესაც საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

ამის შემდეგ ფეხბურთმა უკვე მალე მიიღო თავისი დღევანდელი სახე და ინგლისის კუნძულებიდან ჯერ ევროპაში, შემდეგ კი სამხრეთ ამერიკაში გავრცელდა.

ბურთის თამაშს საქართველოშიც დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ თამარისა და დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქართველოს სოფლებში მეტად პოპულარული თამაში იყო ლელობურთი. ლელობურთის გარდა ჩვენში ხშირად ეწყობოდა შეჯიბრები ცხენბურთში. ბურთის თამაშის ეს სახეობა საინტერესო სანახაობით ასპარეზობასთან ერთად, მეომართა ფიზიკური წრთვნის უებარი საშუალებაც იყო.

ფეხბურთის თამაში საქართველოში, რევოლუციის შემდგომ წლებში პირველად შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, ფოთში დაიწყეს. შემდეგ იგი ჩვენს ქალაქებში — თბილისსა და ქუთაისში გავრცელდა.

ასე რომ, ამ შესანიშნავი, მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული თამაშის სამშობლო ინგლისია, მაგრამ მას კონკრეტული შემქმნელი ან გამომგონებელი არ ჰყავს, იგი ადამიანთა მთელმა თაობებმა — ხალხმა შექმნა.

**ზ. ორბელი**

... რომ ადამიანის სხეულში იმდენი ფოსფორია, — შეიძლება მისგან 750 ათასი ასანთი დამზადდეს?

... რომ ჩრდილოეთ ამერიკის შტატი ჯორჯია და საქართველო ინგლისურ ენაზე ერთნაირად გამოითქმის?

... რომ მსოფლიოში სამი ათასზე მეტი სხვადასხვა ენა არსებობს?

... რომ ჰავაიურ ენაში მხოლოდ 6 თანხმოვანი და 5 ხმოვანია? ეს ენა ძალიან მარტივია და ამიტომ — არაჩვეულებრივად ძნელი ასათვისებელი.

... რომ ყველაზე მძლავრი ექო გაისმის ირლანდიაში, „არწივის ბუდე“ წოდებულ მთებში? ჩვეულებრივი მონადირული ბუკის ხმა აქ 100-ჯერ ძლიერდება.

... რომ ქვითინსა და სიცილს ბევრი რამ აქვთ საერთო ერთმანეთთან? ერთიცა და მეორეც წარმოადგენს ღრმა ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის მონაცვლეობას, რასაც თან ახლავს ხმის იოგების რხევა. ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს შეუძლია სიცილი.

... რომ აქლემი წყურვილს იკლავს ზღვის წყლით, რომელიც ბევრ მარილს შეიცავს? სხვა ცხოველებსა და ადამიანს კი ასეთი წყლისაგან წყურვილი უფრო უძლიერდებათ.


... რომ ცხენს ზეზე უფრო კარგად სძინავს, ვიდრე დაწოლილს და შეუძლია რამდენიმე თვე სულაც არ დაწვეს.

... რომ თხუნელა ძალიან ცქვიტი ცხოველია? სოროში იგი 2 მეტრს გადის წამში, მიწის ზედაპირზე კი — 3 მეტრს.


... რომ კოლოსაც აქვს კბილები? მიკროსკოპში მკაფიოდ ჩანს მისი 22 კბილი.

... რომ ტოროლა 300 მეტრის სიმაღლეზე უკვე აღარ ჩანს, მაგრამ მისი გალობა კარგად ისმის 600 მეტრის სიმაღლიდანაც?

... რომ მთაზე 1200 მეტრის სიმაღლეზე ასვლა იმდენივე ენერჯიის დახარჯვას მოითხოვს, რამდენსაც — ვაკეზე 50 კმ-ს გავლა?







# ბრუნები და ქუჩის ხელუჩა



ეს ამბავი გასულ ზაფხულს მოხდა მანგლისში. მაშინ ზავშეთა სანატორიუმში ვმუშაობდი. სანატორიუმის დამსვენებელი, პატარა თენგიზი, ალგეთის პირას ხილის ბაღში გადაპარულა. აცოცებულა თუ არა ვაშლის ხეზე, მისკენ წამოსული ბაღის დარაჯი დაუნახავს. შეშინებული ბიჭუნა ხიდან გადმოხტარა და ტკივილისაგან იქვე ჩაკეცილა. დარაჯს ბავშვი შესცოდებია, აუყვანია ხელში და საავადმყოფოში მიუყვანია, სადაც მე, როგორც სანატორიუმის მთავარი ექიმი, სასწრაფოდ დამიბარეს.

დაუყოვნებლივ მივედი და გავსინჯე ბავშვი. საშიში არაფერი იყო და თენგიზი რამდენიმე საათში ფეხზე წამოვაყენეთ. საავადმყოფოდან გამოვედით და ჩვენი სანატორიუმის მანქანას ერთი დიდი სახლის აივანთან დაველოდეთ.

მალე, მერცხლების რაღაც განსაკუთრებულმა ყივილმა ორივე მალა აგვახედა. აივნის ჭერი მთელ სიგრძეზე მერცხლის ბუდეებით იყო მოჭედილი. სად არ იყვნენ ისინი მიშენებული, — ნათურაზე და ელდენის ხაზზეც კი. ალაგ-ალაგ ერთმანეთზე სართულებად დაეშენებიათ.

უეცრად, ერთ ბუდეში, საიდანღაც მოფრენილი ბედურა შეძვრა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გამოფრინდა და შეშინებულივით სადღაც გაუჩინარდა. მერე კვლავ გამოჩნდა, კვლავ შეფრინდა ბუდეში და მალე ისევ გამოფრინდა. ასე გაიმეორა რამდენჯერმე. ბოლოს, ის იყო ერთხელ კიდევ შეიპარა ბუდეში რომ, იმ ბუდეს ერთმა მერცხალმა მოაშურა. და რა შენიშნა თავის საცხოვრებელში დაუპატიჟებელი სტუმარი, შესასვლელს ფრთაგაშლილი გადაეფარა ისე, რომ ონავარ ბედურას გამოსვლის საშუალება არ მისცა, თანაც საოცარი ჭყივილი ასტეხა. მყისვე

იქვე მეორე მერცხალი გაჩნდა, რომელმაც პირველი მერცხალი შესცვალა და ისიც ისე გადაეფარა ბუდის ხვრელს. ასე სცვლიდნენ ისინი, ერთ-




მანეთს რიგრიგობით. ერთი რომ ბუდეს იყო გადაფარებული, მეორე სადღაც მიფრინავდა და ნისკრატით რაღაც-რაღაცეები მოჰქონდა.

მე ფოტოაპარატი მოვიმარჯვე, რომელიც შემთხვევით თან გამომყოლოდა, და ამ საინტერესო სანახაობის რამდენიმე მომენტი გადავიღე ფირზე. ბოლოს ორივე მერცხალი ბუდეს სრულიად მოშორდა და იქაურობას გაეცალა. ჩვენთვის კი ყველაფერი ნათელი გახდა, როცა ბუდეს დავაკვირდით: თურმე მერცხლებს შესასვლელი ხვრელი მთლიანად ამოეჭოლათ და არასასიამოვნო სტუმარი სამუდამოდ გამოემწყვდიათ ბუდეში.

ჯერ კიდევ ვერ დაგვეღწია თავი გაოცებისათვის, რომ აივანზე სახლის პატრონი, თეთრწვერა მოხუცი გამოვიდა და სალამი მოგვცა. ვუამბე ყოველივე, რაც ვნახეთ. მოხუცს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაუარა და შემდეგი გვიამბო:

— ამ აივანზე მრავალი წელია მშვიდობიანად ცხოვრობენ მერცხლები. მაგრამ ბოლო ხანებში შევამჩნიე ბედურა, რომელიც მერცხლებს რომ სადმე გაიგულებდა, მათ ბუდეებში დაძვრებოდა. დაგუწყვე თვალთვალი და მივხვდი, რომ იგი იქ კვერცხებს ჭამდა. ენატრობდი, ნეტავ ერთი მერცხლებმა მოუსწრონ-მეთქი. და აჰა, ჩამწარდა თუ არა, იმ ავაზაკსა!.. ასე მოუვა ყველას, ვინც სხვის ბაღ-ბოსტანში დაუკითხავად ჰყოფს ცხვირსა.



უნებურად თენგიზისკენ მივტრიალდი. იგი გაფითრებული უყურებდა ამოქოლილ ბუდეს და ისმენდა მოხუცის სიტყვებს. მივხვდი, რაც ხდებოდა იმ დროს პატარა ბიჭუნას გულში.

მალე ჩვენს სანატორიუმის მანქანაც მოვიდა.

## რეპაზ იაშვილი

ფოტო—ავტორისა







ამ მცენარეს ლათინურად პლანდაგო მაიორ, „ლ“-ს უწოდებენ. „პლანდაგო“ — თანამგზავრს, „მაიორ“ — დიდს, ხოლო „ლ“ — შვედ ბუნებისმეტყველ კარლ ლონეის გვარს ნიშნავს. ამრიგად, ამ მცენარის სრული სახელი და გვარია: „აღამიანის დიდი თანამგზავრი ლინეის კლასიფიკაციით“.

მართლაც რომ, ზედგამოჭრილი სახელი შეურქმევიათ ამ მცენარისათვის. როდესაც თესლები მომწიფდება და შემოდგომის წვიმიანი ამინდებით ატალახებულ დედამიწის ზედაპირზე ცვივა, აღამიანის ფეხსაცმელის ძირს ეკვრის და მასთან ერთად მოგზაურობს და ვრცელდება. ამრიგად, იგი ყველგან არის გავრცელებული, სადაც აღამიანს ფეხი დაუბიჯებია. ამერიკაში იგი პირველად ევროპელებმა შეიტანეს. ამიტომ იყო, რომ ინდიელებმა „თეთრკანიანთა ნაკვალევი“ უწოდეს. ქართულად მას მრავალძარღვას ვუწოდებთ.

გვინდა ეს მცენარე ნორჩ მკითხველებს გაგაცნოთ და აი, რატომ:

ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა არდადეგების დროს აწყობს მოგზაურობას მშობლიური ქვეყნის შესასწავლად. პიონერები ხშირი სტუმრები არიან ტყეებისა და მინდვრების, მთებისა და ველების, აწყობენ ძნელსა და შორეულ ლაშქრობებს.

ამ დროს შესაძლებელია ვინმეს ფეხზე თითი დაუწყულდეს, ხელში ეკალი შეერკოს, მწერმა უკბინოს. ტკივილებისაგან აკოჭლებულს წინ-

სვლა აღარ ძალუძს, როგორ მოვიქცეთ?

მიმოიხედეთ თქვენს გარშემო, მოძებნეთ მრავალძარღვა, მოწყვეტეთ მისი ხორციანი ფოთლები, შემოიფინეთ მტკივნეულ ადგილზე — დაგიაშობთ. ნელ-ნელა კოჭლობასაც თავს დაბალწევთ და გამოგაჯანმრთელებთ.

მრავალძარღვას ფოთლის ნახარშს სახალხო მედიცინაში იყენებდნენ კუჭის ტკივილის საწინააღმდეგოდ. თესლი ახლაც გამოიყენება კუჭის აშლილობის აღმკვეთ საშუალებად. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში აშენებენ მრავალძარღვას და იყენებენ სხვადასხვა დაავადებათა საწინააღმდეგოდ. მრავალძარღვას თესლი საუ-

### სასწრაფო დახმარება

აღვის ხე, ზევით ატყორცნილი ტოტებით, მაღალი პირამიდული ვარჯის მქონე ლამაზი და სასარგებლო ხე — მცენარეა. მას, გვალვისა და ნიადაგის სიმკვების კარგი ამტანიანობის გამო, ქარსაცავი ტყის ზოლებში წარმატებით იყენებენ.

მაგრამ მწვანე მეგობარი მოურჩენელ სნეულებას შეუპყრია... გადაშენების წინაშე... კენწერო უდროოდ და ადრე უხმება და ფაშარი მერქანიც აღვილად უღაბება — მკურნალი არსად არის...

და ჰა, მკურნალიც გამოჩნდა... ეს იყო ჩვენი დროის ნოვატორი მეცნიერი — ტროფიმე დენისის ძე ლისენკო.

— აღვის ხე, — თქვა მეცნიერმა, — ორ ბინიანი ხე — მცენარეა, მაგრამ კულტურებში გავრცელებულია მხოლოდ მამრობითი სქესის ინდივიდები, რომლებიც, ცხადია, თესლებს არ იფითარებენ, მხოლოდ და მხოლოდ ვეგეტატურად — კალმებით მრავლდებიან. ასეულ და ათასეულ წლობით სისტემატურად ვეგეტატური გამრავლების გამო იგი მძიმედ, სასიკვდილოდ დასნეულდა, — დაასკვნა მეცნიერმა და რეცეპტიც გამოწერა.

კეთესო საკვებია ფრინველებისათვის. უძველეს ხანაში კიდევ მეტად აფასებდნენ მრავალძარღვას. ჩინეთში სამიათასი წლის წინათ მრავალძარღვას შემგროვებლები სიმღერით ასე მოუწოდებდნენ ყველას:

მოჰკრიფეთ და შეაგროვეთ, კალათებში მრავალძარღვა!

როგორც ვხედავთ, ეს მოწოდება არც დღეს არის უსარგებლო. განსაკუთრებით აუცილებელი იყო ის უძველეს ხანაში, სხვა სამკურნალო საშუალება რომ არსად იყო.

— სნეულ აღვის ხეს გადაარჩენს მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი საშუალება — თესლით გამრავლება...


მაგრამ აღვის ხის მდედრობითი ეგზემპლარი ძნელი საშოვნელია...

ლისენკო მტკიცეა, იმედს არ კარგავს. ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მწვანე სამყაროში აღვის ხის მდედრობითი ეგზემპლარის საყოველთაო ძიება გამოაცხადა: სამხრეთ რაიონებში სნეულისათვის განმკურნავე და გამაახალგაზრდავებელ — აღვის ხის მდედრობითი სქესის ეგზემპლარებს მიაგნეს.

ლისენკოს მითითებისამებრ აღვის ხის ამ ეგზემპლარებს კალმები ააჭრეს, დააფესვიანეს და ყვავილობის დროს ხელოვნურად დაამტვერიანეს. მიღებული თესლები დათესეს... ნათესი სწრაფად წამოიქოჩრა, ჯანსაღად განვითარდა. ამ გზით მიღებულ იქნა ამ მცენარის როგორც მამრობითი ისე მდედრობითი სქესის ჯანსაღი ხეები.

აკადემიკოსმა ლისენკომ ამგვარი „სასწრაფო დახმარებით“ აღვის ხე იხსნა სნეულებისაგან.

ა. ნემსაძე







### საკუთარ თავს ვაძს

არსებობს გამოთქმა—«კალიასავით გაუმად-  
ლარიო». სწორედ საარაკო გაუმადლობამ მი-  
იყვანა კალიები იქამდე, რომ ზოგიერთი მათ-  
განი საკუთარ თავსაც კი ჭამს. არა გრძნობს  
რა საერთოდ ფიზიკურ ტკივილს, კალია ჯერ  
თავის წინა ფეხების, ხოლო შემდეგ სხეულის  
ქვედა ნაწილის შესანსვლას იწყებს ხოლმე. იქ-  
ნებ გგონიათ, ამას შიმშილი აიძულებდეს? სრუ-  
ლიადაც არა! უბრალოდ, კალიას საკუთარი  
სხეული სხვა საჭმელებთან შედარებით უფრო  
გემრიელი ეჩვენება. იწყებს რა ფეხების ჩაყ-  
ლაპყას, კალიას იმდენად «ეხსნება მადა», რომ  
არ შეუძლია შეჩერდეს, სანამ თავის ტანს თი-  
თქმის მთლიანად არ შესანსვლავს.



საკუჭნაოები ივსება თაფლით, როგორც ბოთლი,  
და მათ ინახავენ «შავი დღისათვის». როცა ჭი-  
ანჭველებს საჭმელი შემოაკლდებათ, ისინი რიგ-  
რიგობით სწუწნიან თაფლს ამ ცოცხალ «სკე-  
ბიდან».

### V საუკუნის მხატვრობა

გვინეაში, ქალაქ კოლომბოდან დაახლოებით  
150 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს 180  
მეტრი სიმაღლის ზეგანი, რომელსაც ადგილობ-  
რივი მოსახლეობა «ლომის კლდე» ეძახის. ეს  
სახელწოდება ამ ზეგანმა მიიღო იმის გამო,  
რომ იქ არსებული უზარმაზარი კლდის მასივი  
ლომს წააგავს.

«ლომის კლდეზე» იყო ცვილონში მოსახლე  
ტომის მეფის—კასიაბა პირველის სასახლე და  
ციხე-სიმაგრე, ამ სასახლის ნანგრევებში არქეო-  
ლოგებმა აღმოაჩინეს V საუკუნის იშვიათი  
მხატვრობა. კედელზე გამოხატულია 21 ქალის  
სურათი. იქვეა წარწერები, რომლებიც გვამცნო-  
ბენ, რომ აქ 500-ზე მეტი სურათი ყოფილა გა-  
მოსახული, მაგრამ დროთა სვლას ნაწილობრივ  
წაუშლია. რაც გადარჩა, კაცობრიობისათვის  
დიდი ღირებულებისაა.

### აუღსავლობა

ეს საოცარი მოწყობილობა ზურგზე, ანტენას  
რომ ჰგავს, პულსმომია, რომელიც გულის  
მუშაობის გასაზომად იხმარება. მისი მეტად  
რთული მოწყობილობის აღწერა აქ ძნელია,  
მაგრამ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდ  
დახმარებას უწევს ტექნიკა მედიცინას, ესეც  
საკმარისია.

### ღეივაები თავგადასათვის

ერთმა ამერიკულმა ფირმამ ამას წინათ დი-  
დი ღვაკვთა მიიღო ლეიბებზე, რომლებიც თა-  
გვებისთვისაა განკუთვნილი. ეს როდი იყო რო-  
მელიმე «ცხოველთა მეგობრის» ახირება. და-  
მკვეთი აღმოჩნდა სავსებით სერიოზული დაწე-  
სებულება—ილინოისის შტატის ერთ-ერთი სა-  
მეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. მისმა თანა-  
მშრომლებმა გამოარკვიეს, რომ თავგები კარ-  
გი დასვენების შემდეგ უფრო აქტიური ხდე-  
ბიან და მათზე ცდების ჩატარება მეტ შედეგს  
იძლევა.


### სოცხალი «სკეპი»

ტროპიკებში ცხოვრობენ ჭიანჭველები, რომ-  
ლებიც ფუტკარების მსგავსად თაფლს აკეთებენ.  
ამ თაფლს ჭიანჭველები ინახავენ თავიანთ მო-  
ჩმეთა სხეულებში. ეს უკანასკნელები კი ამის  
გამო ცოცხალ საკუჭნაოებად—«სკეპად» იქცე-  
ვიან. მათ შესანახად ჭიანჭველები მიწისქვეშ  
აბეციალურ გალერეებს აკეთებენ. ჭიანჭველა—



რომში მოხედრილი ყოველი ტურისტის  
ლობს რამდენიმე დღეში გაეცნოს ამ «მარადი-  
ული ქალაქის» მთელ ორიათასწლიან ისტორი-  
ას. ეს კი, უცხო ენების მცოდნე გიდის დაუნმა-  
რებლად, ტურისტისთვის თითქმის შეუძლებე-  
ლია. მაგრამ ისეთ თვეებში, როცა რომს აუა-  
რებელი ტურისტი აწყდება, გიდების რაოდენო-  
ბა უკვე არ არის საკმარისი.

ასეთ შემთხვევაში, ცნობისმოყვარე ტურისტე-  
ბისადმი დახმარება ტექნიკამ იკისრა. რომის  
ყველაზე დიდ თექვსმეტ ტაძარში დადგმულია  
ავტომატები მაგნიტოფონური ჩანაწერებით. ჩა-  
წერებზე ავტომატში 50 ლირიან მონეტას, ამო-  
არჩევ შკალაზე შენთვის საჭირო ენას, და მე-



ქანიკური გიდი თავაზიანად გიამბობს ტაძრის  
ისტორიას. მაგრამ თუ ფულს ორმაგად გადა-  
იხდი, მაშინ ავტომატი მეტი დაწვრილებით მო-  
გიყვება და უფრო გულითადი ხმითაც ალაპა-  
რაკდება.

### საილოები 2-500 მატრის სიმაღლეზე

იტალიისა და საფრანგეთის საზღვარზე მდე-  
ბარე ალპების მთებში 2.500 მეტრის სიმაღ-  
ლეზეა უღელტეხილი, რომელსაც კლაპერს  
უწოდებენ. ვინ არ სცადა ამ უღელტეხილის  
გადალახვა, მაგრამ ამაოდ.

უკანასკნელ დროს, ერთი ინგლისელი ისტო-  
რიკოსი ნათქვამით ცნობილი გახდა, რომ 2000  
წლის წინათ ამ უღელტეხილით, კართაგენის  
ცნობილმა დიდმა მხედართმთავარმა ჰანიბალ-  
მა, საფრანგეთის სახელმწიფო ტერიტორიიდან  
იტალიაში ლაშქრობის დროს, საბრძოლო აღ-  
ჭურვილობით დატვირთული სპილოები გადაიყ-  
ვანა.

სწორედ ამ მოსაზრებით იხელმძღვანელეს  
იტალიელმა ტურისტმა სპორტსმენებმა და სა-  
ცირო სპილოებით გაემგზავრნენ კლაპერის  
უღელტეხილზე. მათ მართლაც განახორციელეს  
ამ ძალზე ძნელი ექსპედიციის მიზანი,—შეიძ-  
ლებოდა თუ არა სპილოებით 2000 წლის წი-  
ნათ ამ მარშრუტით იტალიაში გადასვლა.





დღი ამავე დღისი ქართული სახვავეო წიგნ მხატვარს იხებ განაშვილმა. იგი რამდენიმე ათწლეული წლია დღუდაღავე მოღვაწეობს ზვეო თუთულის ან დილხა და ხაინტერესო სტერიოში. ქართული მხატვარაგან ხოის განაშვილი ერთ- ერთი პირველი, იყო, რომელიც ხაიავეო ჩაუღ- გა ახალი ქართული სახვავეო წიგნის მხატვარობის.

# იოსებ

# ბახაუვილი

როცა ქართულ სახვავეო წიგნებზე მხვ- ლობა, არ შეიძლება პირველ რიგში არ მოიხსენ- ნოი ხოის განაშვილის მიერ მაღალნიჭიერად და ოსტატურად შესრულებული სურათები. ხოის განაშვილი ხალხური ზღაპრების ზრწწინავლე ილუსტრატორია. ბევრი თანხა ვაიზარდა მის მიერ შექმნილ წიგნებზე. დიდი პოეტური ფანტა- ზია და დიდი ოსტატობა ერთადღა შესრულებული ამ შეხანიშვან შემოქმედში. ქართული სახვავე- ვო წიგნი მისი სტიქიაა, ხოლო ქართული მწერ- ლობა—მისი განუყოფელი მეგობარი. „რწყოალი და პიანუველაშ“, „სოხა და ვენახმა“, „ნაიარქიქიაშ“, „მიიკეთა ქორწილმა“, „შვდის წუქრის ნახაზობ- მა“ და სხვა ნაწუწერებმა ხოის განაშვილს შე- ხანიშვანი მხატვარის სახელი მოუხვევა. მის ნახა- ტებს იცნობენ და დიდად აფასებენ მიუღეს საბ- კითო კავშირში.

ხოის განაშვილი ქართული სახვავეო ეურნალების—„პიონე- რისა“ და „დილას“ უახლიესი თანაშრამიელია. ზვენი მკითხვე- ლები ბევრჯერ მოუხიბლავს მის მიერ შექმნილ ნახატებს. გარ- ჩინელი მხატვარი ზვენი რედაქციის დაუზარდელ, ენერგული და სავყვარელი მეგობარია. იგი დიდ დახმარებას გვწინედა და ვაიწვე- რათა ზვენი ეურნალის ყოველი ნომერი მაღალმხატვრული იყოს. ამას წინათ ქართველმა მწერლებმა, გამოცემლობა „ნაკადუ- ლის“ და სახვავეო ეურნალების—„პიონერისა“ და „დილას“ მუ- ზაკებმა შემოქმედებითი ხალხი ვაუზარებს ახალი ქართული სა- ხვავეო მხატვრობის ერთ-ერთ ფუძემდებელს. შეხვიდრალ ზე- ცალი გულთხილი ხიტყვა იოქვა ხოის განაშვილზე, რიგოვლი შე- ხანიშვან მხატვარზე და საზოგადო მოღვაწეზე.

ეურნალ „პიონერის“ სატედაქციო კოლეგია და ნორჩი მკით- ხველები ჟანმართელობისა და ხანგრძლივ სიყოცხებს უზრტიებენ ქართული სახვავეო მხატვრობის ანაგდარს ხოის განაშვილს. კლავ- ვაე ბევრჯერ დაამშვენიოს ზვენი ეურნალის ფურცლები მისმა ნახატებმა.



ილუსტრაცია რ. ქორქიას ზღაპრისათვის „ილოლი“.



**ჰიარზინტალურად:** 1. ქა- ლაქი, სადეც (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გ. ი. ლენინი; 3. გვიამინისა და სვერია- შორისო მუშაობა მორჩაობის გამონიშნო მოღვაწე; 5. გ. ი. ლენინის ვგარი; 12. გ. ი. ლენინის დის სახელი; 14. შიდაიარ სტრკეპი; 16. დი-

## ქ რ მ ს მ რ დ ი

დო არტერი; 17. ქალაქი ურალი; 19. შიდაიარ სკაიო- თეულიში; 20. ცნობილი იტალიელი მეცნიერი; 21. ქა- ლაქი სტრკეპი.

**ვერტკალურად:** 1. ში- ნარე სკაიოთეულიში; 2. ქა- ლაქი, სადეც (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გ. ი. ლენინი; 4. ქალაქი, სადეც მოღვაწე- უბდა გ. ი. ლენინი; 6. შტა- ტი აშშ-ში; 7. ბერძნული მი-

თების გვირი; 8. შიდაიარ პე- ჩორას მარცხენა შენაკალი; 9. ქალაქი, სადეც ცხოვრობ- და მოღვაწეობდა გ. ი. ლე- ნინი; 10. ყვეელი; 11. სუბ- ტროპიკული მყენარე; 13. ცნობილი ისტორიკოსი; 15. ლენინური ვაზუთი ცხრაიხი- ან წლებში; 18. შიდაიარ ოქსის მარცხენა შენაკალი.

## პ ი ს ს ხ ე ბ ი

### ქ რ მ ს მ რ დ ი

**ვერტკალურად:** 1. ათენი; 2. სერია; 3. ლანი; 5. ობოლი; 9. ვაბარი; 11. ხი- ვაიბა; 12. ზაზლინი; 13. ოლიშინი; 15. სიკილი; 23. ურბრეტე; 27. ხილილი; 29. ტებრალი; 30. იფინი; 32. შინი.

**ქ რ მ ს მ რ დ ი უ რ ა დ:** 4. აბოლი; 6. აბატე; 7. რომში; 8. ნარეობი; 10. აბა; 14. ოსი; 16. იარი; 17. ლა- ლი; 18. აბი; 19. ცუბი; 20. „აბი“; 21. უში; 22. ოლია; 24. ლელი; 25. ცნებია; 26. აბა; 28. ნატო; 31. ურო; 33. ფულტო; 34. ოლია; 35. შილი; 36. იმ- პორტი.

**ამოცანა**  
28 წლის წინ შეიქმნა იყო 16 წლის.

**გამოცანები**  
ნების; მაცელი.







ილუსტრაცია ვევა ფშაველიანის მოთხრობისათვის „აბი ი ალა ქორქიოლი“.



ილუსტრაცია გ. ნატროშვილის ზღაპრისათვის „აბი ანდარა“.







ნახატები  
ე. აბოქაძისა

კიტრი და კომოსტო

ლატვიური ხალხური მღვაპარი

ერთხელ კიტრი და კომოსტო მდინარეზე  
საბანაოდ წავიდნენ.  
კიტრი იმწამვე გადაეშვა წყალში, ხო-  
ლო კომოსტო ტანი იხილა, იხილა სა-  
ღამომდე.  
კიტრი ელოდა, ელოდა მას, ხიცვიისგან  
ტანი ებუჩრგა და ხორკლიანი გაუხდა.

